www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 21 ნოემბერი, 2013 წელი. | №3412 (219) | ფასი 50 თეთრი

ღარიბაშვილის მთავრობამ უფლებამოსილება მიიღო

პარლამენტის წინაშე პროგრამის წარდგენა ირაკლი ღარიბაშვილმა ბიძინა ივანიშვილისთვის მადლობის გადახდით დაიწყო. ღარიბაშვილის თქმით, ივანიშვილმა სიტყვა შეასრულა - საქართველო რეჟიმისგან გაათავისუფლა და პოლიტიკა ღირსეულად დატოვა. ღარიბაშვილი ივანიშვილს ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას უსურვებს.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

შეჩერდეს თვითმმართველობის რეფორმა

არასაპარლამენტო ოპოზიცია განხილვის პროცესში ჩართვას ითხოვს

არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიები გუშინ ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს შეხვდნენ. არასაპარლამენტო ოპოზიციამ, ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, თვითმმართველობის რეფორმა განიხილა.

ოპოზიციურმა პარტიებმა თვითმმართველობის რეფორმის შესახებ საზოგადოებრივ-პოლიტიკური დისკუსიის დაწყება და აღნიშნული დოკუმენტის საერთაშორისო ექსპერტიზა მოითხოვეს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა ხელისუფლების ინიციატივით უკვე დაიწყო. ძალიან სამწუხაროა, რომ 8 თვის განმავლობაში ეს პროცესი სახელისუფლებო კულუარებშია ჩაკეტილი.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

რთული დიალოგი ირანთან

ივა შილაკაძე

ოთხშაბათს, 20 ნოემბერს, როგორც დაგეგმილი იყო, ჟენევაში საერთაშორისო შუამავლების ექვსეულსა და ირანს შორის ამ ქვეყნის ბირთვული პროგრამის საკითხზე მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი დაიწყო. ექვსეულში შედიან გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი სახელმწიფო და გერმანია. მოლაპარაკებებში კოორდინატორის ფუნქციებით მონაწილეობს ევროკავშირის უმაღლესი კომისარი საგარეო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების საკითხებში კეტრინ ეშტონი, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ატომური ენერგიის საერთაშორისო საგენტოს წარმომადგენლები.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

სირიის ქიმიურ არსენალს საერთაშორისო წყლებში გაანადგურებენ?

სირიის ქიმიური იარაღის განადგურების გრაფიკი მომზადებული, შეთანხმებული და გამოქვეყნებულია, მაგრამ ქიმიური იარაღის აკრალვის ორგანიზაცია ჯერჯერობით ვერ ახერხებს რომელიმე სახელმწიფოს თანხმობის მიღებას მომწამვლელი ნივთიერებების მათ ტერიტორიაზე განადგურების Sesaxeb.

ამ მისიაზე თავიდანვე თქვა უარი რუსეთმა, რომელსაც სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი ქარხანაც აქვს. შემდეგ განიხილებოდა სირიის რამდენიმე მეზობელი სახელმწიფო, შემდეგ ალბანეთი.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓
1 ევრო	2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓
1 თურქული ლირა	0.8622⇓
100 რუსული რუბლი	5.0433⇓

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA
ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

რევაზ არველაძე: „ჩვენი სტუმრები უზომოდ კმაყოფილი წავიდნენ"

გასულ კვირაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მნიშვნელოვანი ვიზიტით ეწვია უეფას წარმომადგენლობითი სამუშაო ჯგუფი, რომლის მთავარი მიზანი 2015 წელს თბილისში გასამართი უეფას სუპერთასისთვის მოსამზადებელი სამუშაოების დათვალიერება და ქართული მხარისთვის რეკომენდაციების გაწევა იყო.

რამდენიმედღიანი ნაყოფიერი და ინტენსიური მუშაობის შემდეგ, უეფას დელეგაცია თბილისიდან კმაყოფილი და იმედიანი წავიდა. ვიზიტის შესახებ კი სფფ-ის ოფიციალურ ვებგვერდთან შემაჯამებელი კომენტარი გააკეთა სფფ-ის გენერალურმა მდივანმა რევაზ არველაძემ.

რევაზ არველაძე: »უეფადან მაღალი რანგის სტუმრები გვყავდა. ვიზიტის ძირითადი თემა იყო უეფას 2015 წლის სუპერთასის საორგანიზაციო საკითხები, ისეთები, როგორიცაა თამაშისთვის მომზადება, აეროპორტისა და ქალაქში ტრანსპორტირების თემები, ორივე მონაწილე გუნდის გულშემატკივრებისთვის ფან-ზონების მოწყობა, სტადიონების დათვალიერება - რომელი იქნება უფრო კარგი ამ ღონისძიებისთვის და ა.შ.

უეფას დელეგაციაში იყო საკლუბო გათამაშების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფინალური მატჩების დირექტორი, რომელიც უკვე წლებია ხელმძღვანელობს უეფას ჩემპიონთა ლიგისა და სხვა ფინალების ჩატარების ორგანიზებას;

გაგრძელება მე-7 გვერდზე

ახალი ცვლილება ძველი კონტექსტით

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ

საპროტესტო აქცია «იმელის" შენობასთან

სოფო კილასონია

ორმა საარჩევნო ოქტომბერმა ჩაიარა ისე, რომ ამომრჩევლის თუ საქართველოს მოქალაქეების დიდმა ნაწილმა გამარჯვება იზეიმა და სასტიკად შერისხა ის ხალხი, ვინც სახლში დარჩა და ხმა არ მისცა ახალ მმართველ ძალას და მის წარმომადგენლებს, ანდა არჩევნებზე წავიდა სულ სხვების ხათრით. «საქართველო ჩვენ ვართ" - იოლად გამიჯნა განსხვავებული აზრის და არჩევნის მქონე მისი მოქალაქეები საქართველოსგან ახალი თავკაცის, ან გადამრჩენელის, ბიძინა ივანიშვილის რეპერმა შვილმა ბერამ.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ევროკავშირის კრიზისის მართვის ოპერაციებში საქართველო ჩაერთვება

ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭო შეთანხმდა, რომ ხელი მოეწეროს ჩარჩო ხელშეკრულებას, რომელიც ევროკავშირის კრიზისის მართვის ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობას გულისხმობს. ინფორმაციას ამის შესახებ ევროკავშირის საბჭოს ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციით, გადაწყვეტილება ბრიუსელში, ევროკავშირის 28 ქვეყნის საგარეო და თავდაცვის მინისტრთა ერთობლივ სხდომაზე მიიღეს.

ამასთან, ევროკავშირის საბჭოს ვებგვერდზე გავრცელებული ინფორმაციით, მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, ევროკავშირის კრიზისის მართვის ოპერაციებში ჩილეც ჩაერთვება.

ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში კეტრინ ეშტონმა, რომლის ხელმძღვანელობითაც ბრიუსელში მინისტრთა საბჭოს შეხვედრა გაიმართა, 2012 წლის ნოემბერში საქართველოში ყოფნისას ქვეყნის ხელისუფლებას შესთავაზა მოლაპარაკებების დაწყება ჩარჩო ხელშეკრულებაზე, რომელიც ევროკავშირის კრიზისის მართვის ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობას ითვალისწინებდა.

არსებული ინფორმაციით, მთავარი პროკურორის მოადგილეები და დეპარტამენტების ხელმძღვანელები შეიცვლებიან

მთავარი პროკურორის პოსტზე ოთარ ფარცხალაძის დანიშვნასთან ერთად, პროკურატურის ხელმძღვანელი რგოლი მთლიანად შეიცვლება.

როგორც „ინტერპრესნიუსისთვის“ გახდა ცნობილი, არჩილ კბილაშვილის ოთარ ფარცხალაძით შეცვლა ერთადერთი საკადრო გადაწყვეტილება არ არის, რომელიც უახლოეს დღეებში ოფიციალურად გაფორმდება - მთავარი პროკურორის ყველა მოადგილის, თბილისის პროკურორის და ასევე დეპარტამენტების უფროსების ძირითადი ნაწილის შეცვლა უკვე გადაწყვეტილია.

არსებული ინფორმაციით, მთავარ პროკურატურაში დაგეგმილი საკადრო ცვლილებების შესახებ ოთარ ფარცხალაძემ იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანთან შეხვედრისას ისაუბრა.

პროკურატურის სისტემას უმრავლესობასთან შეხვედრისას პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი ირაკლი ღარიბაშვილიც შეეხო, რომელმაც განაცხადა, რომ პროკურატურაში ცვლილებებს იმედიანად უყურებს და დარწმუნებულია, რომ ახალი გუნდის პირობებში ყველა საქმე სათანადო მტკიცებულებებით იქნება გამყარებული.

„განვიცდიდი, როცა სასამართლოში გაგზავნილი საქმეების შესახებ ირკვეოდა, რომ ობიექტურად თუ არაობიექტურად, სუსტი იყო, მტკიცებულებები აკლდა და ასე შემდეგ. ყველა საქმე, რომელზეც ძიება მიდის, მტკიცებულებებით უნდა იყოს გამყარებული. ჩვენ შეიძლება, ბევრი ვისაუბროთ, პოლიტიკური განცხადებები გავაკეთოთ, მაგრამ ეს გამოსავალი არ არის. ძალიან დიდი რწმენით ვუყურებ პროკურატურაში განხორციელებულ ცვლილებებს. მჯერა, რომ ახალი გუნდი შეძლებს ეფექტურ მუშაობას და ყველა იმ მტკიცებულების მოგროვებას, რომლებიც ამა თუ იმ საქმის უტყუარობას დაადასტურებს. ყველა მძიმე საქმე გამოძიებული იქნება და ჩვენ ამ საქმეებს ბოლომდე მივიყვანთ,“ - განაცხადა ღარიბაშვილმა საპარლამენტო უმრავლესობასთან შეხვედრისას.

ამასთან, ინფორმაცია მთავარი პროკურორის პირველი მოადგილის ლაშა ნაცვლიშვილის თანამდებობიდან წასვლის შესახებ ადრეც გავრცელდა, თუმცა ეს ინფორმაცია თავად ნაცვლიშვილმა არ დაადასტურა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პროკურატურის პრესსამსახურის უფროსმა ხათუნა პაიჭაძემ განუცხადა, მისთვის უცნობია, დატოვებენ თუ არა თანამდებობებს მთავარი პროკურორის მოადგილეები და დეპარტამენტების თავმჯდომარეები. პაიჭაძის განმარტებით, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ახალი პროკურორის დანიშვნის შემდეგ მოადგილეებისა და დეპარტამენტების თავმჯდომარეების გადადგომას.

მისივე თქმით, ამ დრომდე მთავარ პროკურატურაში თანამდებობა არავის დაუტოვებია.

ცნობისათვის - ახალ პროკურორს თანამდებობაზე, იუსტიციის მინისტრის წარდგინებით, ამჯერად არა პრეზიდენტი, არამედ პრემიერ-მინისტრი დანიშნავს.

შეჩერდეს თვითმმართველობის რეფორმა

პირველი გვერდიდან

ამ დროს ეს ის თემაა, რომელიც ფართო დისკუსიებს, ტრანსფარანტულობას, გამჭვირვალობას და ჩართულობას ითხოვს. გარდა ამისა, საერთაშორისო დასკვნები არ ახლავს ისეთ დოკუმენტს, როგორიც თვითმმართველობის კოდექსია, ამიტომ დღეს ჩვენ ვიკრიბებით ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად და მთავრობის წინაშე ვაყენებთ ლოგიკურ და კონკრეტულ მოთხოვნას - დაუყოვნებლივ გაიხსნას საზოგადოებრივ-პოლიტიკური დისკუსია თვითმმართველობის რეფორმის შესახებ და საერთაშორისო ექსპერტიზა ჩაუტარდეს აღნიშნულ დოკუმენტს. საქართველოს პარლამენტში მხოლოდ ამ ორი ფაქტორის შემდეგ უნდა დაიწყოს ამ დოკუმენტის განხილვა. წინაღმდეგ შემთხვევაში, ეს რეფორმა ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსის საგანი ვერ იქნება,“ - განაცხადა თბილისის საკრებულოს ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმების კომისიის თავმჯდომარემ მამუკა კაციტაძემ.

«ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის» ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ახვლედიანი კი, ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის განხილვაში, არასამთავრობო სექტორთან ერთად, არასაპარლამენტო ოპოზიციის ჩართულობას ითხოვს.

ახვლედიანის განმარტებით, უნდა შეიქმნას სპეციალური ჯგუფი, რომელიც ინტერპარტიული იქნება.

„თვითმმართველობის რეფორმას ძალიან დიდი კონსენსუსი სჭირდება. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და „ქართულმა ოცნებამ“ კაბინეტებში არ უნდა განიხილონ. ამ პროცესში ქართული პოლიტიკური ძალების და არასამთავრობო სექტორის ფართო სპექტრი უნდა ჩაერთოს. ძალიან ბევრი დრო დავკარგეთ იმისთვის, რომ ეს პროცესი დაწყებულიყო. რაც შეიძლება მალე უნდა შეიქმნას სპეციალური ჯგუფი, რომელიც ინტერპარტიული იქნება და რომელშიც არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებიც ჩაერთვებიან,“ - განაცხადა გიორგი ახვლედიანმა.

პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა მიიჩნევს, რომ „ქართული ოცნება“ თვითმმართველობის რეფორმის საკუთარ ინტერესებზე მორგებას აპირებს. კუკავას თქმით, კონფერენციაზე თვითმმართველობის რეფორმის შეჩერების მოთხოვნით მიმართვის შემუშავებაზე შეთანხმდნენ.

„კონფერენციაზე შევთანხმდით, რომ უახლოეს ხანებში შევადგენთ მიმართვას, სადაც მოვითხოვთ, შეჩერდეს თვითმმართველობის ეს ე.წ. რეფორმა, რომელიც პრემიერ-მინისტრის აპარატის, მისი მრჩევლების მიერაა მომზადებული და რომელიც, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, ევროპის საბჭოს მიერ, ანტიდემოკრატიულად შეფასდა. ჩვენ კარგად გვახსოვს, თვითმმართველობა როგორ მოირგო ჯერ მოქალაქეთა კავშირმა , შემდეგ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და ახლა იმავეს „ქართული ოცნება“ აპირებს. უახლოეს დღეებში ჩვენ ოფიციალურად მივმართავთ პრემიერ-მინისტრს და ვთხოვთ, ნუ აიღებს თავის თავზე ამ ტვირთს, რომელიც საკმაოდ არაჯანსაღი ძალების მიერ არის მომზადებული,“ - განაცხადა კუკავამ.

თბილისში რამდენიმე უსახელო ქუჩას სახელი მიენიჭა

თბილისის საკრებულოს აპარატის მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსი გამოცხადდა.

კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილება გუშინ თბილისის საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა მიიღეს. საკრებულოში 114 ვაკანტური ადგილია, კონკურსი ყველა განყოფილებაში სპეციალისტის, წამყვანი სპეციალისტის და მთავარი სპეციალისტის თანამდებობებზე ცხადდება.

კონკურსში მონაწილე პირთა რეგისტრაცია 25 ნოემბრიდან დაიწყება და ერთი კვირის განმავლობაში გაგრძელდება. მსურველები რეგისტრაციას საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდზე გაივლიან.

ამ კონკურსის გამო საკრებულომ გუშინ ასევე დაამტკიცა საკრებულოს აპარატის მოხელეთა საკონსკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის წესი და ასევე ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატებისთვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საკონკურსო თემატიკა.

კონკურსის შესახებ სხვა დეტალები მოგვიანებით გახდება ცნობილი.

ამასთან, გუშინდელ საკრებულოს სხდომაზე გადაწყდა, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეები შესრულებული სამუშაოსთვის, კვარტალში ერთხელ, 300 ლარამდე თანხით წახალისდებიან.

საკითხს 32-მა დეპუტატმა მხარი დაუჭირა, ორმა თავი შეიკავა, ორი კი წინააღმდეგი წავიდა. საკითხი განსახილველად სხდომაზე საკრებულოს საქალაქო მეურნეობისა და ურბანული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარემ ნიკო ხაჩირაშვილმა გამოიტანა.

საკითხის განხილვამდე უმცირესობის წევრმა, ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა - რეფორმატორების“ თავმჯდომარემ თემურ გრიგალაშვილმა განაცხადა, რომ იგი მიესალმება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეების წახალისების ახალი წესის შემოღებას, თუმცა მიიჩნევს, რომ უმჯობესი იქნებოდა, ძველი წესის გაუქმებამდე წახალისების ალტერნატიული წესი დაემტკიცებინათ.

საკითხის განხილვისას ნიკო ხაჩირაშვილმა აღნიშნა, რომ ყოველი თვის 15 რიცხვში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარეებმა უნდა წარმოადგინონ აღრიცხვის ბარათი, სადაც აღნიშნული იქნება კორპუსთან განსახორციელებელი სამუშაოები, კვარტალში ერთხელ კი ამ შესრულებული სამუშაოების მიხედვით გამგეობის სხდომაზე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარე ფინანსურად წახალისდება, არა უმეტეს 300 ლარით.

ამ საკითხმა განაპირობა ასევე თბილისის მიმდინარე წლის ბიუჯეტში ცვლილება, რომელიც გუშინ საკრებულოს სხდომაზე დაამტკიცეს. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის განცხადებით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეების წახალისებისთვის მათ მოთხოვნილი ჰქონდათ 4 მილიონი ლარი, თუმცა შემდეგ მიიჩნიეს, რომ საკმარისი იქნება 3 მილიონი ლარი, რომელსაც მერია ამ მიზნით გამოყოფს. აღნიშნული 3 მილიონიდან, დაახლოებით, 1 500 000 ლარი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეთა წახალისებას მოხმარდება, დანარჩენი კი - კორპუსებში განსახორციელებელ სამუშაოებს, რომლებიც სპეციალური პროგრამით დაფინანსდება, მათ შორის სახურავის, ლიფტის შეკეთება და სხვა.

გარდა ამისა, გუშინდელ სხდომაზე გადაწყდა, რომ სატრანსპორტო შეღავათები სამარშუტო ტაქსებში სოციალურად დაუცველ პირებზეც გავრცელდება. სოციალურად დაუცველები სამარშუტო ტაქსებში 50-პროცენტიანი ფასდაკლებით ისარგებლებენ.

ამის გამო თბილისის 2013 წლის ბიუჯეტში ცვლილება შევიდა. ბიუჯეტით განისაზღვრა 300 000 ლარი, რომელიც სამარშუტო ტაქსებში სოციალურად დაუცველ პირთა სატრანსპოტო შეღავათებისთვის დაიხარჯება.

ამასთან, გუშინდელ სხდომაზე დეპუტატებმა რამდენიმე უსახელო ქუჩას სახელი მიანიჭეს. საკითხი სხდომაზე განსახილველად ნათელა მაჭავარიანმა გაიტანა.

თბილისში, საბურთალოს რაიონში, ვაშლიჯვრის დასახლებაში უსახელო ქუჩას და მასთან მიმდებარე შესახვევს მხატვარ ირაკლი ფარჯიანის სახელი ეწოდა; ვაკის რაიონში უსახელო სკვერს ვაცლავ ჰაველის სახელი მიენიჭა; ისნის რაიონში კომპოზიტორ შალვა მშველიძის ქუჩის გაგრძელებას და მასთან მდებარე პირველ ჩიხს შალვა მშველიძის სახელი დაერქმევა. ისნის რაიონში დავითაიას ქუჩასთან მდებარე პირველ შესახვევს დეპუტატებმა გეოგრაფ თეოფანე დავითაიას სახელი მიანიჭეს. ნაძალადევის რაიონში უსახელო ქუჩას და მასთან მდებარე ჩიხს რესტავრატორ, ხელოვნებათმცოდნე ლევან რჩეულიშვილის სახელი მიენიჭა, საბურთალოს რაიონში, ვაშლიჯვრის დასახლებაში უსახელო ქუჩას კი - არქიტექტორ ციალა გაბაშვილის სახელი.

საკრებულოს წევრებმა ასევე იმსჯელეს გიორგი სხვიტარიძის ქუჩისთვის თავდაპირველი სახელის - ზოვრეთის დაბრუნების შესახებ. სხდომაზე ნათელა მაჭავარიანმა განაცხადა, რომ საკრებულოს სახელდების კომისიაში შევიდა მოქალაქეთა წერილი, რომლებიც განმარტავენ, რომ გიორგი სხვიტარიძეს და მისი ოჯახის წევრებს ამ ქუჩაზე არასდროს უცხოვრიათ და მოსახლეობა ამ მოტივით ითხოვს ქუჩისთვის ძველი სახელის დაბრუნებას. ნათელა მაჭავარიანმა აღნიშნა, რომ უკვე მოძებნილია უსახელო ქუჩა, რომელსაც შემდეგ, სავარაუდოდ, გიორგი სხვიტარიძის სახელი მიენიჭება.

წამების ამსახველი ვიდეოკადრების საქმეზე სასამართლო პროცესები გრძელდება

თბილისის საქალაქო სასამართლოში გუშინ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის ყოფილი უფროსის მეგის ქარდავასა და კუდ-ის ცხრა თანამშრომლის საქმის არსებითი განხილვა დაიწყო.

აღნიშნულ პირებს გამოძიება ორგანიზებული ჯგუფის მიერ თავისუფლების უკანონოდ აღკვეთას და წამებას ედავება.

საუბარია ზუგდიდის სამალავებში აღმოჩენილი ვიდეოფირების შესახებ.

გუშინდელ პროცესს წინასწარ პატიმრობაში მყოფი ბრალდებულები ესწრებოდნენ, მათ შორის იყო ავსტრიიდან ექსტრადირებული დავით ჩაგინავაც.

რაც შეეხება მეგის ქარდავას და კოხტა კოდუას, რომლებმაც საქართველო საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დატოვეს, ამ დროისთვის მათზე საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული.

გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული საქმე სექსუალურ დანაშაულს შეიცავს, პროცესი მედიისთვის დახურულია. თუმცა ადვოკატებმა კომენტარები პროცესის დაწყებამდე გააკეთეს.

ადვოკატ მათე ხარჭამაძეს განცხადებით, დაცვის მხარემ ბრალდების ყველა მტკიცებულება სადავო გახადა. ადვოკატი მიიჩნევს, რომ ბრალდებულები პატიმრობაში უკანონოდ იმყოფებიან.

ე.წ. „კასრების საქმეზე“ სასამართლო პროცესი უკვე რამდენიმე თვეა, გრძელდება. სავარაუდოდ, შემდეგი პროცესიდან მტკიცებულებების გამოკვლევა დაიწყება.

ცნობისათვის - თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ზუგდიდში აღმოჩენილ საიდუმლო სამალავში ნაპოვნი ვიდეოფირების საქმეზე დაკავებულ ცხრა პირს აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეეფარდა. გაუპატიურებას, წამებას და იარაღის უკანონო ტარებას 12 ადამიანს ედავებიან. ბრალდებულები არიან შსს მოქმედი და ყოფილი თანამშრომლები: მარლენ ხვიტია, გოჩა შონია, გურამ ჭითანავა, პაატა ქირია და რუსლან შამახია, ასევე თავდაცვის სამინისტროს სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე კობა თოდუა, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი გიორგი გულია, ასევე თემურ უბირია და პაატა ქირია. ბრალდებულები არიან ასევე ძებნილად მიჩნეულები მეგის ქარდავა, კოხტა კოდუა და დავით დარდინავა.

ბრალდებული ცხრა პირი სამეგრელოში საიდუმლო სამალავის აღმოჩენიდან მეორე დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს უშიშროების სამსახურმა დააკავა.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ღარიბაშვილის მთავრობამ უფლებამოსილება მიიღო

პირველი გვერდიდან

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, საქართველოს კონსტიტუციის ახალი ნორმები ამოქმედდა, ქვეყანა მმართველობის ახალ მოდელზე გადავიდა და მმართველ გუნდს კარგად აქვს გაცნობიერებული ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც ამ პირობებში აღმასრულებელ ხელისუფლებას - მთავრობას ეკისრება.

ირაკლი ღარიბაშვილს მიაჩნია, რომ ახლად ამოქმედებულ საკონსტიტუციო მოდელში ბევრი ისეთი ხარვეზი და ბუნდოვანი ნორმაა, რომლებიც გამოსწორებასა და გაუმჯობესებას მოითხოვს, რათა ქვეყანაში ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის სამართლებრივი სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ბალანსი ჩამოყალიბდეს. ამ მიზნით საქართველოს პარლამენტმა უკვე შექმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, რომელმაც საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია უნდა შეიმუშაოს. **ახალი კონსტიტუციით დადგინდება მმართველობის ისეთი მოდელი, რომელიც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს მთავრობის სტაბილურობას, ხოლო, მეორე მხრივ, საკანონმდებლო ორგანოს და საზოგადოებას მისცემს რეალურ ბერკეტებს ხელისუფლების საქმიანობის ქმედითი და დროული კონტროლის განსახორციელებლად,** - თქვა ღარიბაშვილმა.

პრემიერმა პარლამენტს მთავრობის ახალი პროგრამა წარუდგინა, რომელიც, ღარიბაშვილის შეფასებით, კოალიცია «ქართული ოცნების“ გაცხადებულ ღირებულებებსა და საარჩევნო პროგრამას ეფუძნება. ღარიბაშვილი აზუსტებს, რომ მთავრობის პროგრამა 4-წლიან საარჩევნო ვადაში კოალიციის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს ითვალისწინებს.

პრემიერ-მინისტრის თქმით, ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი მიზანი მართლმსაჯულების სისტემის გაჯანსაღებაა. როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, სამართლიანი და ეფექტიანი სასამართლოს დამკვიდრება ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ამოცანაა.

ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად ირაკლი ღარიბაშვილი სისხლის სამართლის სისტემის რეფორმას ასახელებს. მისი თქმით, მთავრობა საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის რეფორმას განახორციელებს და იგი სახელმწიფო რეკეტისა და ქონების გამოძალვის იარაღი აღარ იქნება. ღარიბაშვილი პირობას იძლევა, რომ დაზარალებულის უფლებები ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად იქნება დაცული. მან სისხლის სამართლის კოდექსის დახვეწისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შემუშავების გეგმებზეც შეაჩერა ყურადღება.

ღარიბაშვილის თქმით, მთავრობა პროკურატურისადმი საზოგადოების ნდობის ასამაღლებლადაც იმუშავებს. პრემიერი ირწმუნება, რომ პროკურატურის დეპოლიტიზაციის პროცესი გაგრძელდება.

ირაკლი ღარიბაშვილის პროგრამის ნაწილია საჯარო სამსახურის ისეთი მოდელის ჩამოყალიბება, რომლის შედეგად საჯარო მოხელის დასაქმება და გათავისუფლება პოლიტიკაზე არ იქნება დამოკიდებული. მისი მტკიცებით, ხელისუფლების შეცვლა საჯარო სამსახურიდან კადრების დათხოვნას აღარ გამოიწვევს. პროგრამის თანახმად, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძვლები კანონით ზუსტად განისაზღვრება.

მთავრობის პრიორიტეტად ღარიბაშვილი ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმოებას ასახელებს, მათ შორის, ყველა უმცირესობის დაცვის კუთხით. **მთავრობა ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას დაამტკიცებს,** - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

რაც შეეხება საერთაშორისო ურთიერთობებს, ღარიბაშვილი ამბობს, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკას საფუძვლად ეროვნული უსაფრთხოების, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა დაედება. მისი თქმით, მთავრობის პრიორიტეტებია ევროკავშირში გაწევრიანებისკენ სწრაფვა და ევროატლანტიკური ინტეგრაცია. **ეს არის საქართველოს მოქალაქეთა გაცხადებული არჩევანი და ეს არჩევანი არ გადაიხედება,** - აცხადებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. საერთაშორისო სამხედრო ოპერაციებში წვლილის შეტანას კი ღარიბაშვილი ეროვნული ინტერესების დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვან კომპონენტად განხილავს.

ივანიშვილის შემცვლელი ევროკავშირთან ურთიერთობების საკითხებსაც შეეხო. როგორც მან აღნიშნა, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ვილნიუსის სამიტზე ასოცირების შეთანხმების პარაფირება მოხდება. ამავე დროს, აქტიურად გაგრძელდება მუშაობა, რათა 2014 წლის შემოდგომამდე, მოქმედი ევროკომისიის მანდატის ამოწურვამდე, შეთანხმებას ხელი მოეწეროს.

ღარიბაშვილი იმასაც აცხადებს, რომ საქართველო ნატო-ში ინტეგრაციის მიმართულებით აქტიურ მუშაობას გააგრძელებს.

ამერიკის შეერთებულ შტატებთან კი, როგორც მთავარ მოკავშირესთან, ურთიერთობას საქართველო, პრემიერის დაპირებით, სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით განსაზღვრული პირობების თანახმად წარმართავს. **ქარტიას საქართველო საკუთარი ხალხის წინაშე აღებულ ვალდებულებად განიხილავს,“** - აზუსტებს პრემიერი.

მთავრობის ახალ პროგრამაში ისიც არის ნათქვამი, რომ რუსეთ-საქართველოს შორის არსებული კონფლიქტის მოგვარების მიზნით საქართველოს მთავრობა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში კონსტრუქციულ მონაწილეობას გააგრძელებს. როგორც ღარიბაშვილი ამბობს, მთავრობა ქვეყნის საბოლოო დეოკუპაციისთვის ყველა საერთაშორისო ბერკეტს გამოიყენებს. ამასთანავე, ღარიბაშვილი აღნიშნავს, რომ საქართველო რუსეთთან არსებული კრიზისის ეტაპობრივ დაძლევას ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის გზით შეეცდება. პრემიერის თქმით, შენარჩუნდება ქართულ-რუსული ორმხრივი დიალოგის ფორმატი, რამაც, შეძლებისდაგვარდ, ხელი უნდა შეუწყოს სავაჭრო-ეკონომიკური, სატრანსპორტო და ჰუმანიტარული ურთიერთობების განვითარებას და არსებული პრობლემების ეტაპობრივად მოგვარებას.

პროგრამის დიდი ნაწილი ქვეყნის ეკონომიკურ საკითხებს ეხება. ღარიბაშვილი ამბობს, რომ ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება ისეთი სფეროების განვითარებისკენ, როგორიც არის: სამეწარმეო და საინვესტიციო გარემო; მეწარმეობა და მცირე და საშუალო ბიზნესი; კერძო სექტორისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ახალი ფინანსური ინსტრუმენტების განვითარების გზით; საქართველოს ეკონომიკის რეგიონული და გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლება; საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები; ექსპორტზე ორიენტირებული წარმოება; მომსახურების სფერო. ყოველივე ეს უზრუნველყოფს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და ეკონომიკური განვითარების პროცესებში მოსახლეობის ჩართულობას.

ღარიბაშვილის მონაცემებით, სახელმწიფო დღეისათვის ქონების ერთ-ერთი ყველაზე დიდი მესაკუთრეა საქართველოში. მთავრობის მიზანი იქნება სახელმწიფო ქონების რაციონალური გამოყენება და გამოუყენებელი აქტივების ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვა, მათი კერძო საკუთრებაში მოქცევის გზით.

პრემიერი ამბობს, რომ მთავრობა პრიორიტეტს მიანიჭებს: აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალისა და ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი სარკინიგზო ხაზის მშენებლობის დასრულებას, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის განვითარებას და ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის პროექტის განხორციელებას. მთავრობის მეთაურს მიაჩნია, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს, როგორც დროებითი, ისე გრძელვადიანი სტაბილური სამუშაო ადგილების შექმნას.

მთავრობისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი იქნება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ინფორმატიზაციის საკითხებს. პროგრამა ქვეყნის დასახლებული პუნქტების მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით უზრუნველყოფას და რეგიონების კომპიუტერიზაციის გაგრძელდებას ითვალისწინებს.

მთავრობის პროგრამაში ასევე საუბარია ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობის შესახებ.

მთავრობას პრიორიტეტულ მიმართულებად ეფექტიანი და ცივილიზებული შრომის ბაზრის ჩამოყალიბება ესახება.

პროგრამაში ასევე საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის გაუმჯობესებაზეა საუბარი და მითითებულია, რომ ხარისხიან სამედიცინო მომსახურებასა და მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა გაუმჯობესდება.

ქვეყნის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს რეფორმად, რომელსაც მთავრობა განახორციელებს, ღარიბაშვილი თვითმმართველობის რეფორმას ასახელებს.

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტული მიმართულება კი ქვეყნის მასშტაბით ნარჩენების ევროპული სტანდარტების მიხედვით განთავსება და დახარისხება, ასევე საქართველოს რეგიონების მოსახლეობისათვის სასმელი წყლის 24-საათიანი მიწოდებაა.

მთავრობა ერთ-ერთი ძირითად პრიორიტეტად სოფლის მეურნეობის განვითარებას ასახელებს, ამის უპირველეს გარანტიად კი მკაფიოდ განსაზღვრულ აგრარულ პოლიტიკას და სოფლის მეურნეობის სექტორში ფინანსური რესურსების მნიშვნელოვნად გაზრდას მიიჩნევს.

ღარიბაშვილის კიდევ ერთი დაპირება საგადასახადო სანქციების ოპტიმიზაციას ეხება. მისი თქმით, ცალკეული კატეგორიის ეკონომიკური დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი დევნა შეიზღუდება.

მთავრობის პრიორიტეტი იქნება საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების გაუმჯობესება, რათა ჩვენი შეიარაღებული ძალები მზად იყოს ქვეყნის დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვისთვის, საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისთვის, აგრეთვე ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების დროს სამოქალაქო ხელისუფლების დახმარებისთვის.

ღარიბაშვილი უსაფრთხოების მიმართულებაზეც ამახვილებს ყურადღებას. მისი თქმით, დასახული ამოცანების შესასრულებლად და არსებული უსაფრთხოების გარემოდან გამომდინარე, აუცილებელია თავდაცვითი შესაძლებლობების შემდგომი გაუმჯობესება შეიარაღებული ძალების უფრო მობილურ და პროფესიულ, ნატო-სთან თავსებად ძალებად გარდაქმნის გზით. ამ მიზნით საქართველოს მთავრობას ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავება აქვს განზრახული. ამასთან, როგორც პროგრამაშია ნათქვამი, სამხედრო და სამოქალაქო ფუნქციები კიდევ უფრო გაიმიჯნება და სამხედრო-სამოქალაქო კოორდინაცია გაუმჯობესდება.

ღარიბაშვილი სამხედრო და ომის ვეტერანების უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით ძირეული რეფორმის განხორციელდების პირობას დებს.

პროგრამის თანახმად, განათლება კვლავ მთავრობის პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება. ღარიბაშვილი ამბობს, რომ მთავრობა ზოგადი განათლების სტრატეგიის მოდიფიცირებას გეგმავს, რომელიც ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობაზე იქნება ორიენტირებული. ეს გულისხმობს ნებისმიერი შესაძლებლობის მქონე მოსწავლისთვის ხელშემწყობი გარემოსა და პროგრამების შექმნას, მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებას, მოტივაციის გაზრდასა და მათი შეფასების სისტემის სრულყოფას.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილი ამბობს, განათლებაზე სახელმწიფო ხარჯები ეტაპობრივად გაიზრდება და განათლების ხარისხი ამაღლდება. გარდა ამისა, როგორც პროგრამაშია ნათქვამი, გატარდება ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, დასაცავად საგანგებო ღონისძიებები. **სახელმწიფო ენაზე იზრუნებს სახელმწიფო, რათა გარანტირებული იყოს ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვა. შემუშავდება და ამოქმედდება კანონი სახელმწიფო ენის შესახებ,** - თქვა ღარიბაშვილმა.

პარლამენტარების შეფასებები

ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლის დასრულებისთანავე, საპარლამენტო უმცირესობის წევრებმა პრემიერობის კანდიდატს არაერთი კითხვა დაუსვეს, რასაც კომიტეტების თავმჯდომარეთა გამოსვლები მოჰყვა, შემდეგ კი ტრიბუნა ფრაქციების წარმოამდგენლებმა დაიკავეს.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ზურაბ ჯაფარიძემ მთავრობა ერთი წლის განმავლობაში გადადგმული ნაბიჯებისთვის გააკრიტიკა. **„თქვენ მოიგონეთ ფაბულა, რომ თითქოს გასულ წლებში ეკონომიკა თუნდაც ილუზორულად იზრდებოდა. ბიზნესს ატერორებდნენ, შემდეგ ამ ფულს სადღაც ხარჯავდა და ამ გზით ეკონომიკა იზრდებოდა. ასეთ ეკონომიკურ თეორიას რომელი ეკონომიკური სკოლა ასწავლის?“** - მიმართა მთავრობას ჯაფარიძემ და განაგრძო, - **მთავრობაში თქვეს, რომ წელს ბიუჯეტი საშემოსავლო ნაწილში გაირღვა, მაგრამ ხარჯვით ნაწილში არ გაირღვაო. ვერ ვხვდები, ეს რას ნიშნავს - თუ შემოსავალი არ გაქვს, რას დახარჯავ. თუ იქ ერთი მილიარდი ირღვევა, ამავე რაოდენობის თანხით გაირღვევა აქაც. მარტივი მათემატიკაა. 2014 წლის ბიუჯეტის პროექტში წერია, რომ წლევანდელი ეკონომიკური ზრდა 6-პროცენტია და გვეუბნებიან, რომ რეალურ მონაცემებს სავალუტო ფონდი ადგენსო. თუ სავალუტო ფონდი ადგენს მთავრობის პოლიტიკას, რისთვის არის საჭირო ეკონომიკური ბლოკის სამინისტროები? ხომ ვიცით, რომ 2-2.5-პროცენტიანი ზრდა მაქიმუმია და 6 პროცენტი რატომ წერია? ვერ მივხვდებით?“**

ჯაფარიძის შეფასებით, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა პროგრამა ისე წაიკითხა, რომ მისი შინაარსი საერთოდ არ ესმის.

მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებამდე სიტყვით გამოვიდა პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი. **„ძალიან რთული ამოცანაა, როცა ადამიანი ადამიანს ნდობას უცხადებს. მით უმეტეს, რომ ეს არის არა ჩვენი პირადი ნდობა, არამედ სახელისუფლებო ნდობა და ჩვენ ჩვენი ნდობით თქვენ სახელმწიფო ძალაუფლებას განდობთ, განდობთ სახელმწიფო ხელისუფლებას. ამ ამოცანის სირთულე კიდევ უფრო იმაშია, რომ ჩვენ თქვენ განდობთ იმ ძალაუფლებას, რომელიც ერთი წლის წინ საპარლამენტო არჩევნებზე გვანდეს,“** - აღნიშნა უსუფაშვილმა. მისივე თქმით, პარლამენტი მთავრობას იმ ძალაუფლებას ანდობს, რაც მათ ქართველმა ხალხმა ავანსად ანდო. მისი თქმით, ქართველმა ხალხმა ნდობა იმ პიროვნებას გამოუცხადა, რომლის სახელიც ყველაზე მეტად გაჟღერდა პარლამენტის ტრიბუნიდან. **„აქ არ არის საუბარი მესიაზე, მხსნელზე და გადამრჩენელზე. ეს რომ ასე არ არის, ბიძინა ივანიშვილმა, პირველ რიგში, საკუთარი გადაწყვეტილებით დაადასტურა, როდესაც ხელისუფლებიდან წასვლის შესახებ პირვანდელი განცხადება რეალობად აქცია. ჩვენ, უმრავლესობის წარმომადგენლები, დღევანდელი დღიდან განსაკუთრებული პასუხისმგებლობის და ტვირთის მატარებლები ვხდებით, რადგან რეალურად ჩვენ დღეიდან ვიღებთ პასუხისმგებლობას ქართველი ხალხის წინაშე, რეალურად დღეიდან იწყება ჩვენი საქმე და მინდა, ამას ყველამ ერთად, როგორც ერთიან გუნდს შეშვენის, თავი გავართვათ,“** - თქვა უსუფაშვილმა.

პარლამენტმა ახალ მინისტრთა კაბინეტს 93 ხმით, 19-ის წინააღმდეგ, მხარი დაუჭირა. პარლამენტის თავმჯდომარემ შესაბამის დადგენილებას ხელი კენჭისყრის დასრულებისთანავე მოაწერა, რომელიც პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს გადაეგზავნა. პრეზიდენტმა საქართველოს პრემიერი-მინისტრის დანიშვნის შესახებ სამართლებრივ აქტს წუხელვე მოაწერა ხელი და პრემიერ-მინისტრსა და ახალ მთავრობას წარმატება უსურვა.

საკუთარი ინფორმაცია

ბეირუთში აფეთქებებზე პასუხისმგებლობა „ალ ქაიდასთან" დაახლოებულმა ჯგუფმა აიღო

„სი-ენ-ენ"-ის ცნობით, გუშინწინ ლიბანის დედაქალაქ ბეირუთში ირანის საელჩოსთან მომხდარ აფეთქებებზე პასუხისმგებლობა „ალ ქაიდასთან" დაახლოებულმა სუნიტურმა ჯიჰადისტურმა დაჯგუფებამ აიღო. ლიბანის ჯანდაცვის სამინისტროს ცნობით, აფეთქებას 23 ადამიანი ემსხვერპლა, 147 კი დაშავდა. დაღუპულებს შორის არის ირანის კულტურის ატაშე იბრაჰიმ ანსარი. სუნიტური დაჯგუფების „აბდულა აზამის რაზმების" განცხადებით, თავდასხმებს მანამ გააგრძელებენ, სანამ შიიტური დაჯგუფება „ჰეზბოლა", რომელსაც ირანიც მხარს უჭერს, სირიაში ასადის ძალების მხარეს იბრძვის. დაჯგუფებამ ლიბანში დაპატიმრებული საკუთარი წევრების გათავისუფლებაც მოითხოვა. ლიბანის არმიის განცხადებით, ერთი აფეთქება შენობის წინ თვითმკვლელმა განახორციელა, რომელიც მოტოციკლეტზე იჯდა. აფეთქებების შედეგად შენობის წინა ნაწილი და ახლოს მდებარე შენობები დაზიანდა.

ყაბარდო-ბალყარეთში ორი შეიარაღებული მებრძოლი მოკლეს

ყაბარდო-ბალყარეთში ოთხშაბათს სამართალდაცავი ორგანოების წარმომადგენლებმა შეირაღებული იატაკქვეშეთის ორი სავარაუდო მებრძოლი მოკლეს. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის განცხადებაში საუბარია, რომ დაკავებისას მათ პოლიციას ცეცხლი გაუხსნეს; პოლიციის მხრიდან საპასუხო სროლის დროს კი ორივე მამაკაცი დაიღუპა. ორმხრივი სროლისას სამართალდაცავი სტრუქტურის წარმომადგენლები არ დაშავებულან.

ტიმოშენკოს «სამკურნალოდ გაგზავნის» ვადა იწურება

ხუთშაბათს უკრაინელმა დეპუტატებმა ყოფილი პრემიერის იულია ტიმოშენკოს საზღვარგარეთ გაშვების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღონ. თუ დეპუტატები ამ საკითხზე შეთანხმებას ვერ მოახერხებენ, ევროკავშირის, სულ მცირე, სამი ქვეყანა (გერმანია, ნიდერლანდები და შვედეთი) უკრაინასთან ასოციაციის შესახებ შეთანხმების ხელმოწერას მხარს არ დაუჭერს. ევროკავშირსა და უკრაინას შორის ასოციაციის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე იგეგმება, რომელიც 28-29 ნოემბერს ვილნიუსში გაიმართება. სამშაბათს ოპოზიცია და საპარლამენტო უმრავლესობა მხოლოდ ტიმოშენკოს სამკურნალოდ გაშვების ვადებზე შეთანხმდნენ. სპეციალურად შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრები აცხადებენ, რომ ერთობლივი პროექტის მიღების იმედი გადაეწურათ. ცნობისათვის - ევროკავშირის წარმომადგენლებმა უკვე რამდენჯერმე აღნიშნეს, რომ ტიმოშჩენკო საკითხის მოგვარების გარეშე უკრაინასთან შეთანხმება ვერ გაფორმდება.

სინას ნახევარკუნძულზე აფეთქებას ათი ეგვიპტელი სამხედრო ემსხვერპლა

„როიტერის" ცნობით, სინას ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში დანაღმული მანქანის აფეთქებას ათი ეგვიპტელი ჯარისკაცი ემსხვერპლა და 35 სამხედრო კი დაშავდა. 3 ივლისის შემდეგ, რაც არმიამ მოქმედი პრეზიდენტი მოჰამედ მურის თანამდებობას ჩამოაშორა, ნახევარკუნძულზე მნიშვნელოვნად გააქტიურდნენ „ალ ქაიდას" შეირაღებული მებრძოლები, რომლებიც სამხედროებს ხშირად ესხმიან თავს.

ამერიკა ალიევისა და სარგსიანის შეხვედრას მიესალმა

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 20 ნოემბრის განცხადებაში საუბარია, რომ ამერიკა მიესალმება აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტების ილჰამ ალიევისა და სერჟ სარგსიანის შეხვედრას. პრეზიდენტები ერთმანეთს მთიანი ყარაბაღის საკითხზე სალაპარაკოდ 19 ნოემბერს ვენაში შეხვდნენ. „ჩვენ ამ შეხვედრას მაღალ შეფასებას ვაძლევთ და ვურჩევთ, რომ შეთანხმდნენ და მომავალი შეხვედრა უახლოესი თვეების განმავლობაში შედგეს. ამერიკა, როგორც ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარე, ორივე ქვეყნის პრეზიდენტებს მოუწოდებს, აქტიურად იმუშაონ, რათა მშვიდობიანი გზით მოაგვარონ კონფლიქტი, რომელიც ორივე მხარის მოსახლეობისთვის მძიმე ტვირთად იქცა," - განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჯენ პსაკიმ.

ჩეჩნეთი არაბული ინვესტიციების მიზიდვას ცდილობს

ჩეჩნეთის ხელისუფლება, არაბ პარტნიორებთან ერთად, მსხვილი საინვესტიციო პროექტების რეალიზებას გეგმავს, რომელიც ხუთ წელიწადში ქვეყანაში უმუშევრობას დაამარცხებს. ამის შესახებ ცოტა ხნის წინ ჩეჩნეთის მეთაურმა რამზან კადიროვმა განაცხადა. მისი თქმით, რეგიონის ხელმძღვანელობის უმთავრეს ამოცანას უმუშევრობის მთლიანად აღმოფხვრა წარმოადგენს. „აბუ-დაბიში ვიზიტისას ჩვენ მემკვიდრე პრინცთან, შეიხ მოჰამედ ბინ ზაედ ალ-ნაჰაინთან განვიხილეთ რეგიონში დაგეგმილი საინვესტიციო პროექტები. მე მას რესპუბლიკის განვითარებაში თანამშრომლობა ვთხოვე. შეიხმა მსხვილი პროექტების რეალიზებისათვის მზადყოფნა გამოთქვა," - აღნიშნა კადიროვმა. ჩეჩნეთის ლიდერის თქმით, არაბული კომპანიების წარმომადგენლები უახლოესი პერიოდის განმავლობაში ესტუმრებიან ჩეჩნეთის რესპუბლიკას, რათა თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას ხელი მოაწერონ.

მოამზადა თამთა კახაძემ

რთული დიალოგი ირანთან

პირველი გვერდიდან

მოლაპარაკების მსვლელობის შესახებ გუშინ არანაირი ცნობები არ გამოქვეყნებულა. ეს არც იყო მოსალოდნელი და ის ინფორმაციაც, რომელიც ათი დღის წინ, ჟენევის წინა რაუნდის შემდეგ გახმაურდა, ამ ტიპის მოლაპარაკებებისთვის საკმარისზე მეტია. დიალოგის სირთულეზე შეიძლება, იმ განცხადებების მიხედვით ვიმსჯელოთ, რომლებსაც მხარეები და დაინტერესებული სახელმწიფოები აკეთებენ (აქ, პირველ რიგში, ისრაელს და საუდის არაბეთს ვგულისხმობთ).

გუშინ აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ სენატორებს მოუწოდა, ირანის წინააღმდეგ ახალი სანქციების შემოღებას მხარი არ დაუჭირონ და დიპლომატებს ამ ქვეყანასთან მოლაპარაკების საშუალება მისცენ. მანამდე, სამშაბათს, ობამას, სახელმწიფო მდივან ჯონ კერისთან და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში თავის მრჩეველ სიუზან რაისთან ერთად, სენატის ლიდერებთან ორსაათიანი შეხვედრა ჰქონდა. სენატორებს ირანთან სწრაფ ტემპში მიმდინარე მოლაპარაკებები და სანქციების შერბილების პერსპექტივა აშინებთ. ისინი მოითხოვენ, რომ აშშ-მ ჟენევაში უფრო მკაცრი პოზიცია დაიკავოს.

თეთრი სახლის განცხადებაში კი ნათქვამია, რომ მათ აქვთ საშუალება, შეაჩერონ ირანის ბირთვული პროგრამის განვითარება და დაბლოკონ მისი საკვანძო მიმართულებები, თან დააკვირდნენ, შესაძლებელია თუ არა ყოვლისმომცველი შეთანხმების გაფორმება. ამ მოლაპარაკებების ჩავარდნის შემთხვევაში, ობამას ადმინისტრაციის აზრით, ირანი გააგრძელებს ურანის გამდიდრებას და აამოქმედებს არაკში მძიმე წყლის რეაქტორს, რომელიც თითქმის მზად არის. ამას გარდა, ობამამ განაცხადა, რომ ძირითადი სანქციები, რომლებიც სანავთობო და საბანკო სექტორებისთვის, ასევე ფინანსური მომსახურებისთვის არის შემოღებული, ჯერჯერობით ხელუხლებელი დარჩება.

მოლაპარაკების განახლების წინ განცხადებები ირანშიც გაკეთდა. საგარეო საქმეთა მინისტრმა მოჰამედ ჯავად ზარიფმა იმედი გამოთქვა, რომ მხარეებს შორის არსებული დაპირისპირების დაძლევა შესაძლებელია. ამას გარდა, მან თქვა, რომ «ჩვენ ველით და მოვითხოვთ პატივისცემას. ჩვენთვის, ირანელებისთვის, ბირთვული ენერგეტიკა არ არის რამე კლუბში გაწევრიანების ან ვინმესთან მუქარის ტონით საუბრის საშუალება. ბირთვული ენერგია ჩვენთვის საკუთარი ბედის დამოუკიდებლად განსაზღვრის საშუალებაა, რათა საკითხებს ჩვენ მაგივრად სხვები არ წყვეტდნენ."

თავისი პოზიცია დააფიქსირა ირანის სულიერმა ლიდერმა და ფაქტობრივმა ხელმძღვანელმა აიათოლა ალი ჰამენეიმ. მან თქვა, რომ ირანი იოტისოდენადაც არ დაიხევს უკან თავისი ბირთვული უფლებებიდან. ჰამენეიმ აღნიშნა, რომ მოლაპარაკებებში არ ჩაერევა, თუმცა საკუთარ დელეგაციას პრიორიტეტები დაუსახა და «წითელი ხაზები" გაუვლო, რომელთა დათმობაც დაუშვებელია. მანვე ექვსეულს მოუწოდა, არ გაძლიერონ ირანზე ზეწოლა. «მათ უნდა იცოდნენ, რომ ირანელი ხალხი პატივს სცემს მსოფლიოს ყველა ერს, მაგრამ აგრესორებს სახეში გავარტყამთ და ისინი ამ სილას ვერასდროს დაივიწყებენ".

მოლაპარაკებების მიმდინარეობა უკიდურესად აშფოთებს ისრაელს და ამ ქვეყნის ხელმძღვანელობა ექვსეულს მოუწოდებს, არაფერი დაუთმონ ირანს და არ შეარბილონ სანქციები. ისრაელს ხელს აძლევს მხოლოდ ბირთვული პროგრამის ფაქტობრივი შეწყვეტა - კერძოდ, არაკის რეაქტორის დაკონსერვება, ურანის გამდიდრების შეჩერება და ურანის დაგროვილი მარაგის ნაწილის ქვეყნიდან გატანა.

კვირას ისრაელის პრემიერმა ბენიამინ ნეთნიაჰუმ განაცხადა, რომ «შეთანხმება ირანთან ცუდია, ცუდია და კიდევ ერთხელ ცუდია". ნეთანიაჰუ რამდენჯერმე ელაპარაკა ჯონ კერის და ამ უკანასკნელმა ის ჯერჯერობით ვერ დაარწმუნა, რომ ჟენევის მოლაპარაკებები საფრთხეს არ შეიცავს. ნეთანიაჰუ ექვსეულის სხვა წევრების გადაბირებასაც აქტიურად ცდილობს. კვირას იერუსალიმში საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი იმყოფებოდა და მას უმაღლეს დონეზე დახვედრა მოუწყვეს, როგორც აქამდე მხოლოდ ამერიკის პრეზიდენტებს ხვდებოდნენ. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო საფრანგეთს მკვეთრი პოზიცია ჟენევის წინა რაუნდზე, უმთავრესად არაკის რეაქტორის მიმართ. ოთხშაბათს ნეთანიაჰუ მოსკოვში თავად ჩავიდა და შეეცადა, პრეზიდენტ პუტინისთვის თავისი სიმართლე დაემტკიცებინა.

ამას გარდა, ისრაელი აგრესიულ რიტორიკას მიუბრუნდა და კვლავ აღნიშნა, რომ იერუსალიმი უფლებას იტოვებს, საკუთარი უსაფრთხოება დამოუკიდებლად დაიცვას. მან ამისთვის რეგიონში მოკავშირეც იპოვა და, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ეს მოკავშირე, არც მეტი არც ნაკლები - საუდის არაბეთია.

სირიის ქიმიურ არსენალს საერთაშორისო წყლებში გაანადგურებენ?

პირველი გვერდიდან

სულ ორი დღის წინ უარი თქვა ბელგიამ. ამის გამო ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ ფიქრი დაიწყო სირიის მომწამვლელი ნივთიერებების საერთაშორისო წყლებში, სპეციალურ გემზე განადგურების ვარიანტზე.

გემზე შეიძლება, ეს ნივთიერებები ან დაიწვას, ან სხვა ნივთიერებების შერევით მათი გაუვნებელყოფა მოხდეს. პირველი მეთოდი გულისხმობს გემზე ხუთი სპეციალური ღუმელის დაყენებას, რომლებიც ძალიან მაღალ ტემპერატურაზე მუშაობს. წვის პროდუქტი უსაფრთხო იქნება. მთელი ეს ოპერაციაც 60 დღეზე ნაკლებ ვადაში დამთავრდება. ამ ოპერაციაში არ იქნება საჭირო ამერიკული კომპანიების, გემების ან პერსონალის მონაწილეობა, თუმცა სამხედრო მხარდაჭერა არ გამოირიცხება. ასეთ შემთხვევაში ოპერაციის უსაფრთხოება შეიძლება, სამხედრო გემებმა და თვითმფრინავებმა უზრუნველყონ.

მეორე მეთოდის არჩევისას გამოყენებული იქნება პენტაგონის მიერ დამუშავებული ურთულესი მოწყობილობა - საველე მობილური ჰიდროლიზის სისტემა (Field Deployable Hydrolysis System), რომელიც შექმნილია მომწამვლელი ნივთიერებების დიდი მოცულობების გასანადგურებლად. მისი მიტანა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში შეიძლება და სისტემის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას სულ ათი დღე სჭირდება. საშიში ქიმიური კომპონენტების ნეიტრალიზაცია მათი წყალთან და სხვა ნივთიერებებთან შერევით ხდება. ამას გარდა, ამ მიღებულ მასას აცხელებენ. ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის, როგორ მოხდება პროცესში გამოყოფილი ქიმიური პროდუქტების უტილიზაცია. პირველ რიგში, საინტერესოა ის, მათი უბრალოდ ოკეანეში ჩაღვრა ხომ არ იგეგმება.

ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციამ სირიის მთელი ქიმიური არსენალის ლიკვიდაციის გრაფიკი გამოაქვეყნა, რომელიც 2014 წლის 30 ივნისს სრულდება. მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, რაზეც ოფიციალური დამასკოც თანახმაა, ფაქტობრივად, მთელი ქიმიური იარაღი ქვეყნიდან 5 თებერვლისთვის უნდა გაიტანონ. დარჩენილი უმნიშვნელო ნაწილი თვით სირიის ტერიტორიაზე განადგურდება. ყველაზე საშიში კომპონენტები უნდა მოსპონ არაუგვიანეს 31 მარტისა. 15 მარტისთვის ქიმიური იარაღის წარმოების ინფრასტრუქტურა მთლიანად უნდა განადგურდეს. სირიის ქიმიური იარაღის წარმოებისა და შენახვის 23-ივე ობიექტზე აპარატურა 31 ოქტომბრისთვის უკვე ლიკვიდირებული იყო, რაზეც ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციამ თავის დროზე ანგარიში მოამზადა.

სირიის ქიმიური არსენალის ლიკვიდაციაზე შეთანხმებას სექტემბერში, კერი-ლავროვის შეხვედრაზე მიაღწიეს, როდესაც დღის წესრიგში სირიის წინააღმდეგ ძალის გამოყენება იდგა. რუსეთი ამ კრიზისის განმუხტვას თავის დიპლომატიურ გამარჯვებად მიიჩნევს და არცთუ უსაფუძვლოდ. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ამ დღეებშიც უსირცხვილოდ განაცხადა, რომ «საერთაშორისო საკითხების მოგვარებისას ძალის ფაქტორი მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს, დიდი სახელმწიფოები არ უნდა დაემსგავსონ ექსტრემისტებს და პატივი უნდა სცენ იმ შეზღუდვებს, რასაც ძალის გამოყენებაზე გაერო აწესებს». თითქოს რუსეთმა ძალა 2008 წლის ომის დროს და სხვაგანაც სულ «საერთაშორისო წესების დაცვით» გამოიყენა.

ამის პარალელურად სირიის კონფლიქტში ჩართული მხარეები და მათი მხარდამჭერი სახელმწიფოები გაეროში ბრძოლას აგრძელებენ. სირიის ოპოზიციის მომხრეებმა სამშაბათს გენერალური ასამბლეის მესამე კომიტეტზე გაიტანეს რეზოლუცია, რომელიც სამოქალაქო ომის დროს სამხედრო დანაშაულში და ადამიანის უფლებების დარღვევაში ძირითად პასუხისმგებლობას ოფიციალურ დამასკოს აკისრებს. ამბოხებულების ბრალეულობაზე გაკვრით არის ლაპარაკი ბოლო აბზაცებში და სირიის რეჟიმის მომხრეთა თვალსაზრისით არაპრორციულად ცოტა ფაქტია მოყვანილი. უმთავრესი ყურადღება გამახვილებულია დამასკოს გარეუბან გუტში ქიმიურ შეტევაზე, რასაც მოჰყვა კიდეც დიდი მსხვერპლი და მძაფრი საერთაშორისო რეაქცია (ეს ყველაფერი დაწვრილებით არის ცნობილი ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის). დოკუმენტი გაერომ მიიღო. მას მხარი დაუჭირა 123-მა ქვეყანამ, თავი შეიკავა 46-მა (მათ შორის ინდოეთმა, ყაზახეთმა, მალიმ და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ). წინააღმდეგი წავიდა 13 სახელმწიფო - მათ შორის რუსეთი, ირანი, ჩინეთი, ჩრდილოეთ კორეა და თვით სირია. წლის ბოლომდე ეს რეზოლუცია გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზეც გავა, თუმცა კომიტეტში მან უკვე მიიღო სახელმწიფოთა უმრავლესობის მხარდაჭერა და მომავალი კენჭისყრა, ფაქტობრივად, უკვე ფორმალობა იქნება.

მოამზადა ივა შილაკაძემ

ახალი ცვლილება ძველი კონტექსტით

პირველი გვერდიდან

საპროტესტო აქცია გუდიაშვილის მოედანზე

მოგვიანებით, ახალმა პრეზიდენტმა ინაუგურაციაზე აღნიშნა, რომ «ჩვენ ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა გაგვაერთიანა“. - «ჩვენ“ - განმარტება არ მომხდარა. შემდეგ იყო საუბარი კოალიციის გამარჯვებაზე. დაგვიანებით, მაგრამ საბედნიეროდ მაინც, პრეზიდენტის მიერ ითქვა, რომ ის ყველას პრეზიდენტია, არა მხოლოდ - თავისი ამომრჩევლის. კარგია.

«ჩვენ“ შეიძლება იყოს უმრავლესობა ანდა ძალიან დიდი უმრავლესობა. მაგრამ ერთი აზრის უპირატესობის აღიარება და ამ ერთი აზრის სრულიად საქართველოდ მოაზრება იყო სწორედ ის დიდი შეცდომა, რომელიც წინა ხელისუფლებამ მმართველობის ბოლო პერიოდში გამოავლინა და რომლის გამოც ნაწყენმა «სხვა საქართველომ“ სხვა მმართველი ძალა აირჩია. წყენა, რომლის გამოც ქვეყნის მართვის სადავეები სხვა ძალებს გადავულოცეთ, ალბათ იმაზე ძლიერი გადამწყვეტი ძალა იყო, ვიდრე სხვა ტიპის მოლოდინები და ვიდრე მოლოდინები სხვადასხვა ტიპის ცვლილებებისა. ნაციონალური მოძრაობის იმ შეცდომას უნდა დავუბრუნდე, რომელიც ახლანდელმა მმართველმა ძალამ არჩევნების მსვლელობისას და გამარჯვებიდან პირველ დღეებშივე მემკვიდრეობით სიხარულით აიტაცა.

ვიცით, რომ თუკი პათოსი - «საქართველო ჩვენ ვართ“ გაგრძელდება, განსხვევაბული ან კრიტიკული აზრი ისევ ხმამაღლა დაიწყებს ყვირილს. მით უფრო, რომ კრიტიკულ აზრს ყვირილში უკვე გამოცდილება აქვს დიდი. შეიძლება იმაზე დიდი, ვიდრე ამჟამინდელი მმართველი პოლიტიკური გამოცდილებაა. დღეს მაინც არა უმცირესობის დისკრედიტაციის ნიშნებზე და განსხვავებული აზრის აგრესიულ ნიველირებაზე, არამედ სხვა მოლოდინებზე მინდა ყურადღების გამახვილება. იმ უმრავლესობის მოლოდინებზე, რომელმაც 2012 და 2013 წლების ოქტომბრის თვეებში ცვილელებებს მისცა ხმა.

ყოფილ მმართველ ძალას არ ეზარება საუბარი იმაზე, რომ ხელისუფლება საქართველოში უმუშევრებმა, ფინანსურ სიდუხჭირეში მყოფებმა და დაღლილმა, ნაწყენმა ადამიანებმა შეცვალეს. კიდევ ადამიანებმა, რომლებსაც შთააგონეს, რომ ვიღაც მოვიდოდა დასავლეთიდან და «ქართველობას წაართმევდა“; «ვიღაც მოვიდოდა და შვილებს გაურყვნიდა“. ალბათ ამიტომაც ყველა წინასაარჩევნო კამპანია კოალიციისთვის იდგა უცნაურ სიტყვათა შეთანხმებაზე - «ვიქნებით ქართული სულით ხორცამდე“. მაგრამ მცირედი დეტალი ორივე მხარეს გამოეპარა. ბევრმა, მართლაც ძალიან ბევრმა, ხელისუფლება შეცვალა არა იმიტომ, რომ შიოდა, არც იმიტომ, რომ სადღაც შეაშინეს და დაასუსტეს მისი გონი, არამედ იმიტომ, რომ დაიღალნენ პეტიციების ტექსტების შედგენით, ხელმოწერების შეგროვებით, დაიღალნენ ორმაგი სტანდარტებისგან, ადამიანის უფლებების დაცვისთვის ბრძოლისგან, კულტურული მემკვდირეობის დაცვისთვის ომისგან, განათლების სისტემის დაცვისთვის ტირილისგან და სხვა ბევრი რამის დაცვის გამო დაიღალნენ. ამ დაღლილი საზოგადოების დავიწყება დღეს ორივე მხარისთვის კომფორტულია. ძველებისთვის იმიტომ, რომ საკუთარი შეცდომების აღიარება უჭირთ. ახლებისთვის კი იმიტომ, რომ აშკარად სიღრმისეული შეცდომების გამეორების ხიბლში არიან. ჩვენ კი ვიცით, რომ, თუნდაც თბილისში, ისტორიული ნაგებობისთვის კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მოხსნა და ამ ძეგლის უცხოელი ან ადგილობრივი ინვესტოისთვის მიყიდვა დიდი ხიბლია. დიახ, ასე იყო, და არის საშიშროება, რომ ასე გაგრძელდეს.

გუშინ საღამოს კიდევ ერთ პეტიციაზე აწერდა ხელს საზოგადოების ის ნაწილი, ვისთვისაც კულტურული მემკვიდრეობა ან გულისტკივილის სფეროა, ანდა პროფესიული პასუხისმგებლობა.

საქართველოს პარლამენტი განიხილავს საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილ კანონპროექტს, რომლის თანახმადაც ცვლილება შედის «კულტურული მემკვიდრეობის შესახებ» საქართველოს კანონში და შესაძლებელი ხდება, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისთვის ძეგლის სტატუსის მოხსნა „განსაკუთრებულ შემთხვევებში, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აუცილებლობის არსებობის შემთხვევაში“. ეს არგუმენტი ერთობ ბუნდოვანია. სწორედ ამ ბუნდოვანებამ აღაშფოთა მოქალაქეები და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ხელს აწერენ პეტიციას, სადაც დაზუსტებულია პრობლემის არსი:

«ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებით არ არის განსაზღვრული, თუ რა იგულისხმება განსაკუთრებულ შემთხვევებში და რა მოიაზრება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აუცილებლობაში. აღნიშნული ორი გარემოება კი გადაწყვეტილების მიღების პროცესში სუბიექტურობის მაღალი საფრთხის შემცველია და შესაძლოა, უარყოფითად აისახოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე.

ჩვენს შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ აღნიშნული კანონპროექტის პარლამენტში განხილვა, პარლამენტის რეგლამენტის მოთხოვნების უხეში დარღვევით ხდება. კერძოდ, წამყვანმა, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა, კანონპროექტი მისი მიღებიდან მესამე დღეს განიხილა, მაშინ, როდესაც, რეგლამენტის თანახმად, ასეთ მცირე ვადაში კანონპროექტის განხილვა აკრძალულია. ამასთან, კომიტეტმა ინფორმაცია სხდომის შესახებ, სხდომამდე ერთი საათით ადრე გამოაქვეყნა, თუმცა რეგლამენტით ერთი დღით ადრე გამოქვეყნების ვალდებულებაა დადგენილი. ხოლო, საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტს ინფორმაცია კანონპროექტის განხილვის შესახებ საერთოდ არ გამოუქვეყნებია.

რეგლამენტის აღნიშნულმა დარღვევებმა დაინტერესებულ პირებს ჩამოგვართვა კომიტეტის სხდომაში მონაწილეობის, მოსაზრების გამოთქმისა და გადაწყვეტილების მიღების, პროცესზე ზეგავლენის მოხდენის საშუალება. კანონპროექტის გაუმჭვირვალედ განხილვის ფაქტი კი თავისთავად მეტყველებს ამომრჩევლებისა და ზოგადად მოსახლეობის მიმართ ანგარიშვალდებულების დეფიციტზე საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან.

საყურადღებოა, რომ კანონპროექტის თანახმად, ძეგლისთვის ძეგლის სტატუსის მოხსნის თაობაზე შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადების უფლება ყველა იმ უწყებას ენიჭება, ვინც საქართველოს მთავრობის წინაშე შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის ინიცირების უფლებით სარგებლობს. აღნიშნულ პირთა წრე კი იმდენად დიდია, რომ პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის ამ პროცესის ეფექტურად მართვასა და კონტროლს.

ხელმომწერ პირებს დამაფიქრებლად მიგვაჩნია ის, რომ საკანონმდებლო ცვლილებების ავტორი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროა. ხოლო საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებით არ არსებობს შესაბამისი დადებითი დასკვნა. კანონპროექტის მომზადება არ წარმართულა საჯარო დისკუსიების ფონზე და ამ პროცესში მონაწილეობა არ მიუღიათ შესაბამისი დარგის გამოცდილ ექსპერტებს და სპეციალისტებს.

როგორც პარლამენტს, ასევე მთავრობას, გვსურს შევახსენოთ, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულებაა და არა უფლება. ამასთან, «კულტურული მემკვიდრეობის შესახებ» საქართველოს კანონის უმთავრეს მიზანს სწორედ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა წარმოადგენს. შესაბამისად, ყოვლად მიუღებელია იმ ტიპის კანონპროექტის ინიცირება, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნებს არ ემსახურება და არსებითად აუარესებს მის მდგომარეობას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ხელმომწერები მოვითხოვთ, რომ იმ ფონზე, როდესაც არსებული სამართლებრივი რეგულაციების პირობებშიც კი, ბოლო წლებში რეაბილიტაცია-რესტავრაციიის სახელით არაერთი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობა განადგურდა, ხოლო, ძეგლების მნიშვნელოვანმა ნაწილმა არსებითად იცვალა სახე:

• საქართველოს პარლამენტმა, მხარი არ დაუჭიროს საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულ საკანონმდებლო ცვლილებას და ძალაში დატოვოს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონში არსებული მოქმედი ის ნორმა, რომელიც ძეგლისთვის ძეგლის სტატუსის მოხსნის თაობაზე შესაბამის რეგულაციებს ითვალისწინებს;

• საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ღიად დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია აღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებასთან დაკავშირებით და საზოგადოებას მიაწოდონ სრული ინფორმაცია, თუ რამდენად სერიოზული საფრთხეების შემცველია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თვალსაზრისით აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივის დამტკიცება;

• საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განუმარტოს საზოგადოებას, თუ კონკრეტულად რა ინტერესები დევს აღნიშნული კანონპროექტის მომზადების მიღმა და სინამდვილეში რა იგულისხმება კანონპროექტის განმარტებით ბარათში აღნიშნული «საზოგადოებირივი მნიშვნელობის გარკვეული შემთხვევების» უკან.

ამასთან, მოვუწოდებთ ყველა შესაბამის უწყებას, რომ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობის და მითუმეტეს საკანონმდებლო ცვლილებების მომზადების დროს, რომელიც კულტურულ მემკვიდრეობას ეხება, მაქსიმალურად უზურნველყონ საზოგადოების შესაბამის ჯგუფების ჩართულობა და ხელი შეუწყონ ამ ტიპის პროცესების საჯაროდ წარმართვას.

ხელმომწერები:

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA);

ტფილისის ჰამქარი;

ICOMOS საქართველო;

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა;

საზოგადოება ბათუმი;

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI);

თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი (IJH);

იდენტობა;

საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრვალეროვანი საქართველო;

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC);

თავისუფლებისა და დემოკრატიის განვითარების ინსტიტუტი (FDDI);

ლგბტ საქართველო;

საინფორმაციო ცენტრების ქსელი;

წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი-ბათუმი;

საზოგადოებრივი დამცველი;

განცხადება ღიაა ხელმოსაწერად, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზციებისთვის, ისე კერძო პირებისთვის“.

პეტიციის გავრცელებიდან ძალიან მალე ხელმომწერთა რაოდენობამ 1000 ადამიანს მიაღწია.

პეტიციის ტექსტი სრულყოფილად წარმოაჩენს პრობლემის არსსა და საშიშროებებს. აქ დასამატებელი არაფერია. მაგრამ პეტიცია ვერ იტევს და ვერ აჩვენებს კონტექსტს, რომელსაც, ვშიშობ, კანონპროექტში ცვილელების შემტანნი არც ითვალისწინებენ და ვერც გრძნობენ.

თბილისში ბევრი ძეგლი იქცა ვაჭრობის ობიექტად. მაგრამ იმისთვის, რომ ამ წლების განმავლობაში ეს გასხვისება-დანგრევა-ახალ ამოცანებთან ადაპტაცია მომხდარიყო, დგებოდა ამ ძეგლებისთვის სტატუსის შეცვლის აუცილებლობა. ამჟამინდელი მთავრობის წევრებს აუცილებლად სმენიათ პრობლემები «იმელის“ შენობასთან დაკავშირებით; პრობლემები ძველი თბილისის უბნებთან დაკავშირებით; პრობლემები გუდიაშვილის მოედანთან დაკავშირებით და ა.შ. ყველა ამ პრობლემას ძეგლებისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნა ან მოხსნის მცდელობა ედო საფუძვლად; ამ პროცესებში პროფესიონალების არჩართვა ედო საფუძვლად. ყველა ამ შემთხვევაში სტატუსი ძეგლებს მოეხსნათ უკანონოდ და ეს გადაწყვეტილება მიიღეს სხვადასხვა ჩინოვნიკებმა და არა პროფესიულმა ინსტიტუციებმა. მაშინაც ჰქონდათ ამ ჩინოვნიკებს არგუმენტად, რომ ამ ტიპის ცვლილებები ქალაქისთვის იყო აუცილებელი...

ცვლილება, რომელიც დღეს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონში შეაქვს ამჟამინდელ მთავრობას, შეიძლება იყოს ძველი ტენდენციის, ძველი არალეგალური ტენდენციისთვის ლეგიტიმურობის მინიჭების მცდელობა და თუ არ არის ასე, მაშინ მკაცრად და კონკრეტულად უნდა იყოს გაწერილი, როგორ შემთხვევაში დგება სახელმწიფოსთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე უარის თქმის აუცილებლობა. თუკი ის ინგრევა და მოქალაქეებისთვის სახიფათოა და ინგრევა ისე, რომ შენარჩუნება შეუძლებელია? თუ იმ შემთხვევაში, როცა ამ ძეგლისთვის რომელიმე არაბი ან «არაბი-ქართველი“ მილიონერი რამდენიმე მილიონს გადაიხდის? სად გადის სახელმწიფო აუცილებლობის და კომერციული იტერესების ზღვარი? და ბოლოს, ვინ დაადგენს ამ აუცილებლობასა და ძეგლის შენარჩუნების შეუძლებლობას? კულტურული მემკვიდრეობის ქომაგებს ხომ ბევრი გაყალბებული არქეოლოგიური და არქიტექტურული ორწინადადებიანი დასკვნა გვახსოვს...



გურჯაანის მუნიციპალიტეტის სააუქციონე კომისია გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მისაღებად აცხადებს ღია პირობიან აუქციონს

განთავსების ადგილებია:

- თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის ავტომაგისტრალის 102-ე კმ-ის პკ 0+600მ; ერთი ცალი, ორმხრივი სარეკლამო ფართი (3 X 6) - 36კვმ; საწყისი ფასი - 72 (სამოცდა თორმეტი) ლარი. "ბე" - 22 (ოცდა ორი) ლარი;

- თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის ავტომაგისტრალის 103-ე კმ-ის პკ 0+110მ; სამი ცალი, ცალმხრივი სარეკლამო ფართი - (3 X 9) - 81კვმ; საწყისი ფასი - 162 (ას სამოცდა ორი) ლარი. "ბე" - 49 (ორმოცდა ცხრა) ლარი;

- ახმეტა-თელავი-ბაკურციხის ავტომაგისტრალის 64-ე კმ-ის პკ 0+720მ; ერთი ცალი, ორმხრივი სარეკლამო ფართი - (3 X 6) - 36კვმ; საწყისი ფასი - 72 (სამოცდა თორმეტი) ლარი. "ბე" - 22 (ოცდა ორი) ლარი.

- ახმეტა-თელავი-ბაკურციხის ავტომაგისტრალის 64-ე კმ-ის პკ 0+190მ; ერთი ცალი, ორმხრივი სარეკლამო ფართი - (3 X 6) - 36კვმ; საწყისი ფასი - 72 (სამოცდა თორმეტი) ლარი. "ბე" - 22 (ოცდა ორი) ლარი.

გარე რეკლამის განთავსების პირობები:

a) გარე რეკლამა არ უნდა ჰგავდეს საგზაო ნიშნებსა და მაჩვენებლებს;
b) არ გააუარესოს საგზაო ნიშნების, მაჩვენებლებისა და გზფ-ს ხილვადობა;
გ) არ შეუქმნას საფრთხე ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობას;
e) იყოს კონსტრუქციულად მდგრადი;
v) არ გააუარესოს შენობა-ნაგებობების არქიტექტურული იერსახე;
ზ) გარე რეკლამის განთავსების ნებართვა განისაზღვროს არა უმეტეს სამი წლის ვადით;
თ) აუქციონში გამარჯვებულმა სანებართვო მოწმობის მიღებასთან ერთად გააფორმოს საიჯარო ხელშეკრულება.

უქციონში მონაწილეობის წესი:

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი პრივატიზებისას 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში "მონაწილე") აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

ა)განაცხადს, შევსებულს დამტკიცებული ფორმის მიხედვით, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, სავარაუდო სარეკლამო ბანერის ესკიზს, "ბე"-სა და ბილეთის ღირებულების დამადასტურებელ ქვითრებს, რომელიც შეიტანება ერთიან საბიუჯეტო ანგარიშზე, სახაზინო კოდზე - 300503282. "ბე"-ს სიდიდე განისაზღვრება საწყისი სანებართვო ფასის 30%-ით, "ბიჯი" - სარეკლამო ნებართვის განთავსების ღირებულების - 10%-ით, ბილეთის ღირებულებაა - 50 ლარი;

ბ)პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემებს;

გ)ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

დ)იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლს;

ნებართვის აღების მსურველი აუქციონის მონაწილეთა რეგისტრაციის

ჟურნალში წარმოდგენილი დოკუმენტაცდიის რეგისტრაციის მომენტიდან, იღებს "მონაწილის ბილეთს" და ღებულობს "მონაწილის" სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია - სარეკლამო ბანერის განთავსებისათვის მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყისი ფასისა) გადახდა.

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღება

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებები მიიღება 2013 წლის 21 ნოემბრიდან, 2013 წლის 20 დეკემბერს 15 საათამდე.

აუქციონი გაიმართება 2013 წლის 20 დეკემბერს 17 საათზე.

აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება ის მონაწილე, რომელიც სააუქციონე კომისიას შესთავაზებს ყველაზე მაღალ ფასს.

ნებართვის მფლობელი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული საბოლოო თანხა.

დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ მისამართზე: ქ. გურჯაანი ნონეშვილის გამზირი N13, გამგეობის შენობის მესამე სართული, ოთახი N1.

ტელეფონი: 599852243

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საუქციონო კომისია

განცხადება

2014 წლის 14 იანვარს 14 საათზე, მცხეთის რაიონი სოფელ ძეგვში (საკადასტრო კოდი 72.11.02.144 საწარმოს ტერიტორიაზე), მოეწყობა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ლუკოილ ჯორჯია"-ს 13600 მ3 ტევადობის (100000 ტონა წლიური ტვირთბრუნვით) ნავთობბაზის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა.

საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს ნათელი ნავთობპროდუქტების მიღება, დასაწყობება-გაცემა.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართზე: მცხეთის რაიონი სოფელი ძეგვი, საკადასტრო კოდი 72.11.02.144 , ნავთობბაზის ტერიტორია, ტელ: 591 11 41 49

დოკუმენტაციის ელ. ვერსიის გაცნობა ასევე შესაძლებელია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ვებ-გვერდზე.

საზოგადოების მოსაზრების წარდგენის ბოლო ვადა - დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

შპს ლუკოილ ჯორჯია

განცხადება

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მიერ მ/წლის 12 ნოემბრის გაზეთ 24 საათში"(N3405) გამოქვეყნებული სააუქციონი განცხადების მე-3 პუნქტი ტექნიკური ხარვეზის გამო ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. სოფ. ვარდისუბანში მდებარე ყოფილი ამბოლატორიის პირველი სართულის ოთხი ოთახის 61.40კვ.მ ფართი /საკ კოდი: 54.07.51.042/. საწყისი გასაყიდი ფასი 6891 /ექვსი ათას რვაას ოთხმოცდა თერთმეტი / ლარი, ბე 2067/ორი ათას სამოცდა შვიდი/ ლარი , ბიჯი 689 /ექვსას ოთხმოცდა ცხრა/ ლარი. აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი 50 /ორმოცდათი/ ლარი. სააუქციონე პირობა: აუქციონში გამარჯვებულმა აღნიშნულ ობიექტზე ორი წლის განმავლობაში უნდა განახორციელოს 10000 ლარის ინვესტიცია.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სააუქციონე კომისია განმეორებით აცხადებს ღია ა უ ქ ც ი ო ნ ს

განმეორებით, ღია აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება:

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, - მსუბუქი ავტომანქანა, BEW - 5301, ტიპი - სედანი; გამოშვებული - 1994 წელს, ფერი - მწვანე, სახელმწიფო ნომერი MVW993; საწყისი გასაყიდი ფასი - 1200 (ერთი ათას ორასი) ლარი; "ბე" - 360 (სამას სამოცი) ლარი;

სავაჭრო ბიჯის ოდენობა განისაზღვროს საწყისი გასაყიდი ფასის 10%-ის ოდენობით და აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება - 50 ლარით. საბანკო რეკვიზიტებია - ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში სახაზინო კოდი - "ბე" - N300503332, ბილეთის ღირებულება - 300503282.

აუქციონში მონაწილეთა განცხადებების მიიღება - 2013 წლის 21 ნოემბრიდან, 2013 წლის 27 ნოემბრის ჩათვლით, 15 საათამდე.

აუქციონი გაიმართება 2013 წლის 27 ნოემბერს, 17 საათზე.

უქციონში მონაწილეობის წესი:

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი პრივატიზებისას 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში "მონაწილე") აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

a) განაცხადს, შევსებულს დამტკიცებული ფორმის მიხედვით, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, მუნიციპალური ქონების დასახელებასა და საწყის ფასზე, "ბე" და ბილეთის ღირებულების დამადასტურებელ ქვითრებს, რომელიც შეიტანება მითითებულ საბანკო რეკვიზიტებზე.

B გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემებს;

d) ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

e) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლს;

"მყიდველი" აუქციონის მონაწილეთა რეგისტრაციის ჟურნალში წარმოდგენილი დოკუმენტების რეგისტრაციის მომენტიდან, იღებს "მონაწილის ბილეთს" და ღებულობს მონაწილის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია - "მყიდველი"-ს მიერ ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყისი ფასისა) გადახდა.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს სრული საპრივატიზაციო თანხა.

დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ მისამართზე: ქ. გურჯაანი ნონეშვილის გამზირი N13, გამგეობის შენობის მესამე სართული, ოთახი N1.

ტელეფონი: 599852243 599852265

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საუქციონო კომისია

რევაზ არველაძე: „ჩვენი სტუმრები უზომოდ კმაყოფილი წავიდნენ“

პირველი გვერდიდან

აქ იყვნენ ამ დეპარტამენტების თანამშრომლები და, რასაკვირველია, უეფას იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენელი, რომელმაც უკვე დაგვიტოვა იმ დიდი ხელშეკრულების ე.წ. «დრაფტი“, რომელზეც უეფამ და ქართულმა მხარემ უნდა მოაწერონ ხელი. მხარეში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გარდა, ასევე იგულისხმება რამდენიმე ინსტანცია - აეროპორტი, სტადიონი, ქალაქის მერია და სხვა საჭირო ორგანიზაციები.

ჩვენ კიდევ გვაქვს რამდენიმე თვე, რომ სტადიონთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება მივიღოთ. მარტისთვის უკვე დავგეგმეთ უეფას მომდევნო ვიზიტი თბილისში, რომელიც კიდევ უფრო მეტ სიცხადეს შეიტანს ბევრ საკითხში.

გარდა იმისა, რომ ყოველდღიური, ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა ჩვენს ფედერაციაში, სტუმრებს ჰქონდათ შეხვედრა ქალაქის მერთან, ორივე სტადიონის («დინამო არენა“ და «მიხეილ მესხი“) ხელმძღვანელობასთან და უშუალოდ, თამაშების პროცესში ნახეს ეს სტადიონები; ასევე, დაათვალიერეს ის ადგილები, სადაც შეიძლება განთავსდეს ფან-ზონები. ნახეს რამდენიმე ვარიანტი, სადაც უნდა გაიმართოს სუპერთასის ოფიციალური გალა ვახშამი, რომელიც ამ დიდი ღონისძიების ტრადიციული ნაწილია და სადაც წარმოდგენილია თასი, ესწრებიან უეფას და კლუბების ხელმძღვანელები... ვიმუშავეთ იმ თემაზეც, თუ როგორ უნდა მოხდეს ქალაქის ბრენდინგი - როგორ უნდა მოემზადოს ქალაქი ამ ღონისძიებისთვის.

როგორც უკვე გითხარით, უეფას მომავალი ვიზიტი, სავარაუდოდ, 2014 წლის მარტში გაიმართება. ჩვენი ძირითადი ამოცანა კი ის არის, რომ მათ ჩამოსვლამდე უფრო კარგად ჩამოვყალიბდეთ სტადიონების თემაზე. რა რეკომენდაციებიც ჩვენ მივიღეთ, იმაში არაფერი განსაკუთრებული და რთული არ არის. ყველაფერს აქვს თავისი დრო და ეტაპი. ჯერჯერობით გადაწყვეტილებები გვაქვს მისაღები, მერე ბევრი რამაა გასაკეთებელი და ბოლო ეტაპია ყველაზე დატვირთული და მნიშვნელოვანი.

ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბილეთის ფასს, სტადიონს, რადგან ძალიან გვინდა, რომ სუპერთასს «მიხეილ მესხმა“ უმასპინძლოს, მაგრამ ეს საკითხი მოგვიანებით გადაწყდება. ახლავე შემიძლია გითხრათ და ეს უკვე არაერთხელ ვთქვით, რომ ბილეთები კვოტირებული იქნება: მონაწილე კლუბები მიიღებენ გარკვეულ რაოდენობას, ნაციონალური ფედერაციები - თავის კვოტას, უეფა, მისი სტუმრები, სპონსორები და ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტი - გარკვეულ რაოდენობას. დანარჩენი ბილეთები კი, როგორც ყოველთვის, uefa.com-ზე გაიყიდება.

მარტში კი, მთავარი, რაც მოხდება - გაფორმდება ხელშეკრულება უეფასა და ქართულ მხარეს შორის, სადაც მხარეების ყველა ვალდებულება დეტალურად იქნება გაწერილი.

დიდი სიამოვნებით მინდა ვთქვა, რომ ჩვენი სტუმრები თბილისიდან უზომოდ კმაყოფილი წავიდნენ. კმაყოფილი ჩვენი მზაობით, ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტის ინტელექტუალური რესურსითა და კომუნიკაბელურობით, რაც ძალიან მიხარია და მეამაყება.“

სფფ-ის პრესსამსახური

საუკეთესოები

ATP-ის დასკვნით ჩემპიონაზე რაფაელ ნადალმა გაინაღდა მსოფლიოს პირველი ჩოგნის ტიტული 2013 წლის შედეგების მიხედვით და დაამყარა უნიკალური რეკორდი. თექვსმეტმა მოთამაშემ დაასრულა სეზონი მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელის რანგში და ამ ფონზე ესპანელმა მაინც შესძლო გამორჩეული ადგილის დამკვიდრება.



ლეგენდარული ბიორნ ბორგი

ილიე ნასტასე - რუმინეთი, 1973

1973 წლის 23 აგვისტოს ლეგენდარული რუმინელი გახდა ATP-ის ისტორიაში რეიტინგის პირველი ოფიციალური ლიდერი და ეს პოზიცია არავის დაუთმო ორმოცი კვირის განმავლობაში, მომდევნო წლის ივნისამდე; ნასტასე გახდა პირველი ჩოგბურთელი, ვინც ოფიციალურად დაასრულა სეზონი მსოფლიო რეიტინგის ლიდერის რანგში.

ჯიმი კონორსი - აშშ, 1974-1978

მას შემდეგ, რაც ნასტასემ ორი თვით გადასცა ლიდერობა ავსტრალიელ ჯონ ნიუკომბს, დადგა დიდი ამერიკელის ჯიმი კონორსის ზეობის ხანა. «ჯიმბო» არა მარტო ას სამოცი კვირის განმავლობაში ზედიზედ ინარჩუნებდა ლიდერობას (რეკორდი, რომელიც მოხსნა მხოლოდ პიტ სამპრასმა), მან ხუთი სეზონი დაასრულა ATP-ის რეიტინგის პირველი ჩოგნის რანგში. ოცი წლის შემდეგ ეს მიღწევა ისევ პიტ სამპრასმა გააუმჯობესა.

ბიორნ ბორგი - შვედეთი, 1979, 1980

პირველად შვედი «ტერმინატორი» მსოფლიო რეიტინგის სათავეში მოექცა 1977 წელს, მაგრამ მაშინ ბრძოლა რეიტინგში ლიდერობისთვის ისეთი მწვავე იყო, რომ სეზონის დასრულება ლიდერის ამპლუაში ბიორნმა მოახერხა მხოლოდ ორი წლის შემდეგ. მომდევნო სეზონში მან გაიმეორა მიღწევა, მაგრამ შემდეგ ბორგს დაეწყო ჩავარდნის პერიოდი (მისივე საზომით) და 1983 წლის დასაწყისში დაასრულა თავისი ბრწყინვალე კარიერა.

ჯონ მაკინროი - აშშ, 1981-1984

ჯიმი კონორსის მუდმივმა მეტოქემ, «უმცროსმა» თავის კოლეგასა და მეგობარს ვერ აჯობა კარიერის ბევრ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელში, მათ შორის, მსოფლიო რეიტინგის სათავეში სეზონების რაოდენობით. 1981-დან 1984 წლამდე მაკინროი იყო უცვლელი ლიდერი, მაგრამ 1985 წლის სეზონში ფსიქოლოგიური ჩავარდნის შემდეგ ვეღარ შეძლო ჩვეულ პოზიციაზე დაბრუნება, მით უფრო, რომ სანუკვარი ადგილი უკვე დაკავებული იყო.

ივან ლენდლი - ჩეხოსლოვაკია, 1985-1987, 1989

ლენდლი, ყველაზე ახალგაზრდა დიდი ოთხეულიდან, მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდა ჯერ კიდევ 1981 წელს. მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოპოვებული «მეჯორების» ტიტულები. ივანმა მიაღწია კიდევ ერთ მნიშვნელოვან წარმატებას - გახდა ისტორიაში პირველი ჩოგბურთელი, ვინც სეზონის შედეგების მიხედვით ATP რეიტინგის ლიდერის ტიტული დაიბრუნა. მის გარდა, ასეთ წარმატებას მიაღწია კიდევ ორმა მოთამაშემ.

მათს ვილანდერი - შვეცია, 1988 წელი

1988 წელი იყო შვედი სპორტსმენის ზეობის სეზონი. მან მოიგო Grand Slem-ის სამი ტურნირი, სექტემბერში გახდა პირველი ჩოგანი და დამაჯერებლად დაასრულა სეზონი ამ რანგში. მომდევნო წელს ბედმა უმტყუნა - Australian Open 1989-ის დასასრულს დაკარგა პირველობა, მაგრამ ჩოგბურთის ისტორიაში ადგილი მაინც დაიმკვიდრა.

სტეფან ედბერგი - შვედეთი, 1990, 1991

ათწლეულების მიჯნაზე რეიტინგის პირველობაზე ედბერგს ცხარე მეტოქეობას უწევდა ბორის ბეკერი, მაგრამ ბედმა ისე განსაჯა, რომ 1990 და 1991 წლებში სწორედ შვედი სპორტსმენი იყო რეიტინგის ლიდერი სეზონის ფინიშზე. ბეკერმა ორჯერ ჩამოართვა სტეფანს პირველობა, მაგრამ ორჯერვე სეზონის მსვლელობისას.

ჯიმ კურიე - აშშ, 1992

მთელი 1992 წელი კურიე ებრძოდა ედბერგს პირველობისთვის. ჯიმმა სამჯერ გაასწრო შვედს რეიტინგში და მესამეჯერ - ზედ სეზონის მიწურულს; მაგრამ ეს გედის სიმღერა აღმოჩნდა: სანამ ჯიმი და სტეფანი ერთმანეთს ებრძოდნენ, მათ ნელა, მაგრამ დაუნდობლად ეწეოდა პიტ სამპრასი...

პიტ სამპრასი - აშშ, 1993-1998

«პიტ-პისტოლეტი» მოვიდა დიდი ხნით. თავისი დომინირების ხანაში ის პერიოდულად თმობდა ტურის ლიდერობას, მაგრამ სეზონის მიწურულს აუცილებლად იბრუნებდა მას. 1997 წელს პიტმა გაიმეორა ჯიმ კონორსის მიღწევა, ხოლო მომდევნო სეზონში გახდა ერთპიროვნული რეკორდსმენი - ექვსი წელი ზედიზედ პირველი ჩოგნის რანგში ამთავრებდა სეზონს.

ანდრე აგასი - აშშ, 1999

პიტს შეეძლო მეშვიდედ მოეპოვებინა სეზონის ლიდერობა, მაგრამ მთავარმა მეტოქემ და ანტაგონისტმა, აგასიმ შეუშალა ხელი. US Open 1999-ზე გამარჯვებამ ანდრე მსოფლიო რეიტინგის ლიდერი გახადა, სეზონის დამთავრებამდე დარჩენილი დრო კი მან წარმატებულად მოანდომა მეტოქეთა მცდელობების უვნებელყოფას.

გუსტავო კუერტენი - ბრაზილია, 2000

დიდი ბრაზილიელის ყველაზე მტკივნეული მიღწევა ჩოგბურთის რუსი გულშემატკივრების თვალში. სეზონის ბოლო კვირამდე მარატ საფინი ლიდერობდა ATP რეიტინგში, მაგრამ ყველაფერი ისევ აგასიმ გააფუჭა: ჯერ იყო და, მან დაამარცხა საფინი დასკვნითი ჩემპიონატის ნახევარფინალში, ხოლო შემდეგ მოახერხა ფინალში კუერტენთან დამარცხება. შედეგად, სწორედ ბრაზილიელმა დაასრულა სეზონი პირველი ჩოგნის რანგში.

ლეიტონ ჰიუიტი - ავსტრალია, 2001, 2002

ავსტრალიელი სპორტსმენი ორი წლის განმავლობაში მეფობდა ვაჟთა ჩოგბურთში, ხოლო 2002 წლის სეზონში საერთოდ არ დაუთმია რეიტინგის პირველობა. შედეგად ჰიუიტმა ორი სეზონი ზედიზედ დაამთავრა პლანეტის საუკეთესო ჩოგბურთელის რანგში.

ენდი როდიკი - აშშ, 2003

ენდი როდიკის აღმასვლის ხანმოკლე ისტორიამ (ცამეტი კვირა რეიტინგის სათავეში) მოიცვა 2003 წლის შედეგების მიხედვით მსოფლიოს პირველი ჩოგნის წოდებაც. ახალ სეზონში როდიკმა ვერ შეძლო მიღწეულის შენარჩუნება და პირველობა დაუთმო როჯერ ფედერერს. ჩოგბურთის ისტორიაში გადაიშალა ახალი ფურცელი...

როჯერ ფედერერი - შვეიცარია, 2004-2007, 2009 წლები

ლეგენდარული შვეიცარიელი არა მარტო ოთხი წლის განმავლობაში უპირობოდ ინარჩუნებდა მსოფლიოს რეიტინგის ლიდერის ტიტულს, ის გახდა ისტორიაში მეორე ჩოგბურთელი, ვინც შეძლო დაებრუნებინა სეზონის საუკეთესი ჩოგბურთელის სახელი - 2009 წლის სეზონში მან საჩოგბურთო ტახტი დაატოვებინა რაფაელ ნადალს და მეხუთედ დაასრულა სეზონი ლიდერის ამპლუაში. იგივეს მეექვსედ გამეორებაში როჯერს ხელი შეუშალა ნოვაკ ჯოკოვიჩმა. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ერთადერთი რეკორდი, რომელიც ფედერერმა ვერ წაართვა სამპრასს.

რაფაელ ნადალი - ესპანეთი, 2008, 2010, 2013

ნადალმა შეძლო უნიკალური შედეგის მიღწევა - ის არის პირველი ჩოგბურთელი ისტორიაში, რომელმაც ორჯერ დაიბრუნა სეზონის შედეგებით პლანეტის საუკეთესო ჩოგბურთელის წოდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ მომავალ წელს რაფას მოუწევს კოლოსალური რაოდენობის ქულების დაცვა, სავსებით სავარაუდოა, რომ ოდესმე ის ამ ტიტულის ოთხგზის მფლობელიც გახდება.

ნოვაკ ჯოკოვიჩი - სერბეთი, 2011, 2012

ფეერიულმა 2011 წელმა საშუალება მისცა ნოვაკს, პირველად კარიერის განმავლობაში, დაესრულებინა სეზონი ATP რეიტინგის ლიდერის რანგში. მომდევნო სეზონის დასასრულს სერბი გეგმაზომიერად ავიწროებდა როჯერ ფედერერს და საბოლოოდ მაინც მიაღწია თავისას - ისევ გახდა მსოფლიოს პირველი ჩოგანი. 2013 წელს თვითონ ნოვაკი აღმოჩნდა შვეიცარიელის შარშანდელ მდგომარეობაში და, ისევე როგორც როჯერმა, ვერ შეძლო ლიდერობის შენარჩუნება. თუმცა, ბრძოლა პირველობისთვის მხოლოდ იწყება.

ახალგაზრდა ბატუტისტები მსოფლიოდან ოქროებით დაბრუნდნენ

სოფიაში ბატუტისტთა ასაკობრივი მსოფლიო ჩემპიონატი (14-17 ნოემბერი) საქართველოს ნაკრებისთვის წარმატებული გამოდგა.

სინქრონულ ხტომებში 15-16 წლის სპორტსმენთა შორის მსაჯებმა უმაღლესი ქულებით შეაფასეს თეონა ჯანჯღავა და ანა ოდიშვილი, რაც მალე ოქროს მედლებით გამყარდა.

ტურნირიდან დაბრუნებულმა ჩემპიონებმა მედიისათვის ღია ვარჯიში გამართეს.

საკვალიფიკაციო ეტაპზე ქართველ გოგონათა წყვილმა 41.800 ქულით მე-4 ადგილი დაიკავა და ფინალში გამოსვლის უფლება მოიპოვა, სადაც ჯანჯღავამ და ოდიშვილმა სხვებზე უკეთ იასპარეზეს და 44.500 ქულით პირველობა არავის დაუთმეს.

გამარჯვებულებს 1.400-1.400 ქულით ჩამორჩნენ მონა ვაილერი, ფილის ლენსკერი (ორივე - გერმანია) და ვალერია კირილენკო, მარია შილოვა (ორივე - რუსეთი), რომლებსაც, შესაბამისად, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები ერგოთ.

ამ ასაკში მედლამდე ცოტა დააკლდა ანა ოდიშვილს ინდივიდუალურ ხტომებში. კვალიფიკაციაში მან მეორე შედეგი აჩვენა, ფინალში კი 49.165 ქულით მე-5 ადგილი დაიკავა და ბრინჯაოს მედლამდე მხოლოდ 0.8 ქულა დააკლდა.

ჩემპიონატზე მსაჯად იყო მიწვეული საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის გენერალური მდივანი რუსუდან ხოფერია.

„მსოფლიო ჩემპიონობა, თანაც სინქრონულ ვარჯიშში, უდავოდ დიდი წარმატებაა. - ამბობს ტანვარჯიშის ფედერაციის პრეზიდენტი კონსტანტინე ლაშხი. - თუმცა, უკეთესად გამოსვლის შანსიც გვქონდა. კარგია, რომ გვაქვს რეზერვი, რათა წარმატებები გაგრძელდეს. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ბატუტისტებმა მომავალ შეჯიბრებებზე უკეთ წარმოაჩინონ თავიანთი შესაძლებლობები“.

სანიკიძე-შერმადინის რვიანები და გამარჯვება ბელგიაში

გიორგი შერმადინმა და ვიქტორ სანიკიძემ „სარაგოსას“ წინა მატჩში 9-9 ქულა მიითვალეს, მომდევნო შეხვედრაში კი პირად ანგარიშზე 8-8 ქულა ჩაიწერეს. გასული მატჩი სარაგოსელებმა ევროთასზე ბელგიაში გამართეს და ადგილობრივი „მონსი“ 105:64 დაამარცხეს.

მატჩი დაძაბული არ ყოფილა. სარაგოსელებმა თავიდანვე მოიპოვეს ლიდერობა და უპირატესობას შეხვედრის ბოლომდე ზრდიდნენ. რაკი მეტოქე სუსტი იყო, ესპანური კლუბის მწვრთნელმა სათამაშო დრო მეტ-ნაკლებად თანაბრად გაანაწილა.

შერმადინი ხუთულში იყო და მოედანზე 14,49 წუთი გაატარა. გიორგიმ 5-დან 3 ორქულიანი და 3-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, 4 მოხსნა და 2 პასიც მიითვალა, ბურთი კი ერთხელ დაკარგა.

სანიკიძემ 13,44 წუთს ითამაშა და 8 ქულა 2-დან 1 ორქულიანით, 2-დან 1 სამიანით და 4-დან 3 საჯარიმოთი შეაგროვა. მის ანგარიშზე თითო მოხსნა-პასიც დაგროვდა.

სამი მოგებითა და ამდენივე წაგებით „სარაგოსა“ 6-გუნდიან ჯგუფში მე-3 ადგილზეა. მომდევნო მატჩს არაგონელები 27 ნოემბერს შინ, გერმანულ „ალბასთან“ ჩაატარებენ.

გრაველინი	4	1	368	324	44
ალბა	4	1	375	334	41
სარაგოსა	3	3	491	452	30
ტელეკომი	3	2	398	402	-4
ვირტუსი	2	3	385	381	4
მონსი	0	6	304	387	-83

მუნდიალისთვის ევროპა შეივსო

გიგა გურასაშვილი

იბრაჰიმოვიჩის დუბლი მუნდიალზე გასასვლელად საკმარისი არ აღმოჩნდა

ბრაზილიის 2014 წლის საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთა შორის მატებაა. სამშაბათს ევროპულ მინდვრებზე მუნდიალისთვის დარჩენილი ცარიელი ადგილებიც შეივსო. ორი მატჩის ჯამში ბრაზილიური საგზურები დაისაკუთრეს პორტუგალიელებმა, ფრანგებმა, ბერძნებმა და ხორვატებმა. გულშემატკივრისთვის უკეთესი იქნებოდა, მათ შორის შვედეთის ნაკრებიც ყოფილიყო, მაგრამ, მათდა საწმუხაროდ, წყვილში არ გაუმართლათ - მეტოქედ კრიშტიანო რონალდოს პორტუგალია ერგოთ, რონალდოს, რომელმაც ზლატან იბრაჰიმოვიჩის შვედეთს ფლეი ოფის ორი მატჩის ჯამში ოთხი გოლი გაუტანა. ამ შედეგით პორტუგალიელი გაუთანაბრდა პედრო პაულეტას ეროვნულ გუნდში გატანილი გოლების რაოდენობით (47).

რონალდოს ვიზავიმ, ზლატან იბრაჰიმოვიჩმაც, არაფერი დააკლო საკუთარ გუნდს წარმატებისთვის, განმეორებით მატჩში ორჯერ აიღო პორტუგალიელთა კარი, მაგრამ რონალდოს ჰეთ-თრიქთან ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

„მე ჩემი სამუშაო შევასრულე, როგორც ამას ყოველთვის ვაკეთებდი. ანგარიშს არავის ვაბარებ, უბრალოდ, ყოველთვის ვცდილობ, გამარჯვებისთვის ყველაფერი გავიღო.

ჩვენი გუნდი ცოტა აირია მას შემდეგ, რაც შვედებმა ანგარიში გაათანაბრეს, შემდეგ კი მეორე გოლიც გაიტანეს.

ასეთია ფეხბურთი - არასდროს არ იცი, ვინ მოიგებს, მაგრამ ჩვენ უფრო ძლიერები აღმოვჩნდით ორივე თამაშში“, - თქვა შვედებთან საპასუხო მატჩის შემდეგ კრიშტიანომ.

მადრიდის „რეალის“ ლიდერმა ასევე აღნიშნა, რომ არასდროს უფიქრია პაულეტას რეკორდის გაუმჯობესებაზე: „რეკორდი იმისთვის არსებობს, რომ ვიღაცამ ის გააუმჯობესოს. ჩემი თვითმიზანი არასდროს ყოფილა პაულეტას მიღწევის გამეორება და გაუმჯობესება. თუმცა, ვიცი, რომ, ადრე თუ გვიან, ეს მოხდება.

ჩემი ამოცანა ნაკრების მუნდიალზე გაყვანა იყო და, რაც მთავარია, ეს გავაკეთე“.

პორტუგალიელთა ლიდერისგან განსხვავებით, გულგატეხილია ზლატან იბრაჰიმოვიჩი.

შვედეთის ნაკრების თავდამსხმელი გულშემატკივრებს ურჩევს, მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის ყურებისგან თავი არ მოიკლან, რადგან ტურნირი მის გარეშე ჩაივლის.

„ბრაზილიაში თამაშს ორივე გუნდი იმსახურებდა. ჩვენ მიზანთან ახლოს ვიყავით - დღესაც და მაშინაც, როდესაც მეორე ადგილი დავიკავეთ ჯგუფში, რომელშიც ევროპის უძლიერესი ნაკრები (გერმანია) თამაშობდა. მივიღეთ მეორე შანსი, მაგრამ ესეც ვერ გამოვიყენეთ.

ყველაფრის მიუხედავად, ამაყი ვარ, რომ ამ გუნდის კაპიტანი ვიყავი, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ეს მუნდიალზე მოხვედრის ჩემი ბოლო მცდელობა იყო.

...დღეს მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ჩემი არყოფნის გამო ბრაზილიაში სანახავი არაფერი იქნება. შესაბამისად, ქომაგს ამ ტურნირის დიდი მოლოდინი არ უნდა ჰქონდეს“.

ფრანგთა ლიდერის, ფრანკ რიბერის აზრით, უკრაინის ნაკრებთან ფლეი ოფის საპასუხო მატჩში ფრანგთა წარმატების საიდუმლო გუნდის ხასიათის სიმტკიცესა და გულშემატკივართა მხარდაჭერაშია.

«მამლებმა», რომლებმაც კიევში გამართულ ფლეი ოფის პირველ მატჩში ორი უპასუხო გოლი გაუშვეს, სამშაბათს, საპასუხო მატჩში, ერთი შეხედვით შეუძლებელი შეძლეს და უკრაინის ნაკრებს სამი უპასუხო გოლი შესთავაზეს.

რიბერის თქმით, სენ-დენიში მისი გუნდი გამოფხიზლდა და სასურველ შედეგს მიაღწია: „პირველი მატჩის შემდეგ ძალიან ვნერვიულობდით. ამასთან, დიდი ხანი იყო, რაც „სტად დე ფრანსზე“ არ გვეთამაშა. მთავარია, რომ გამოფხიზლება შევძელით. შესაძლებელი იყო, საფრანგეთი მუნდიალს მიღმა დარჩენილიყო, მაგრამ ხასიათის სიმტკიცე წარმოვაჩინეთ და გავიმარჯვეთ. მადლობა ჩვენს გულშემატკივრებს, რომლებიც ბოლომდე მხარში გვედგნენ».